

ახალი ბენათლები

14 - 20 დეკემბერი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№38 (792) გაიშალა 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



67 წლის ასაკში, ხანმოკლე, მაგჩამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გახდა ცვალა საქართველოსა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის მახჯანიშვილისა და გიორგი მახჯანიშვილის ჰეიმოების დეკანო, ლიხების ობიექტისა და უჩაინის "ჰეხტეის" ობიექტის უფროსი, "მაყუბლის სიმპათიის" ჰეიმოს მფლობელი, კონსტანტინე გამსახედიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის წამყვანი

ვანი მსახიობი, სამხატვრო ხელმძღვანელი და დიქტორი ათელოებით წლების განმავლობაში, 1999-2004 წლების მონაკვეთის საქართველოს ჰეხტეის წევრი, 2013 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და უნივერსიტეტის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი.

დიმიტრი ჯაიანი დაიბადა 1950 წელს სენაკში, ჰეხტეის ოჯახში. სენაკის საშუალო სკოლის ოქროსმედალოსანი, დიქტორისა და ხელოვნების სიყვარულმა საქართველოს თეატრული ინსტიტუტში მიიყვანა, სადაც სამსახიობო ფორმირებაში გააჩივრა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა, ილია თავაძემ და ლეონიდასმა საშუალო სკოლაში (სოხუმი) მას დიმიტრი ჯაიანი მოიხსენიებდა) ხესთავში განაწილებულ დიმიტრი ჯაიანს, მოელოდნენ, სოხუმში წასვლა შესთავაზეს. მას შემდეგ მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება სოხუმის თეატრის უფროსობაში, ხაც ძალიან ეამაყებოდა. თეატრის დეპარტამენტში ფეხზე დაყენებისა და მისი წინამძღვრობის მისივე განგებამ მასვე დააჩიხა იმ უმძიმეს პერიოდში, როცა უნივერსიტეტის თანამდევნი ჰეხტეის მხარეზე იყო.

პროფესორი ხიბლით გამოიჩინა, ჰეხტეის, გამოყვანილი ინდივიდუალობისა და თვითმყოფადობის მქონე - ასეთი უყვარდათ და უძვირფასესად დიმიტრი ჯაიანი იქ, სოხუმში და მუხე აქ, თბილისში შექმნილ უფროს მამყუბელს.

„წიგნის თარო“ გთავაზობთ „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ მიერ მომზადებულ კრებულებს

გავიგეოროთ მათემატიკა

გავიგეოროთ მათემატიკა

გავიგეოროთ მათემატიკა

წიგნი დანერგულია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისათვის. იგი ძირითადად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აბაზული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დანერგულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ფასი - 19 ლარი (ერთი ცალი)

გავიგეოროთ მათემატიკა

გავიგეოროთ მათემატიკა

ეროვნული გამოცდების სივლასთა ისტორიაში

გიორგი გეგუშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარბაქაძე

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გაეცნოს მასალას, განსაზღვროს მისი უნარები და სირთულის დანერგვის შესაძლებლობა, როგორც ეროვნულ გამოცდებზე. სახელმძღვანელოში განთავსებულია ამტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რეკონსტრუქციები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია არა მარტო ეროვნული გამოცდებისთვის, მოსამზადებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესისას კონსტრუქციული ისტორიული ეპოქის განსაზღვრებლად.

ფასი - 15 ლარი

აქტუალური თემა უბედურება ის არის, რომ ერთ საქმეზე კონსენსუსია მხოლოდ რამდენიმე დღე შეგვიძლია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიგა გურგულია

გვერდი 3

მასწავლებლები არ უნდა დავტოვოთ მხოლოდ მათივე ინისტიტუტებისა და ინსტიტუტის ამარა

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ანა არბანაშვილი

გვერდი 4





შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია

ასხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიაში ცხადდება კონკურსი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.

კონკურსი ტარდება სწავლების პირველ საფეხურზე.

კონკურსი ცხადდება შემდეგ აკადემიურ თანამდებობაზე:

❖ **მიმართულება – ბიზნესის ადმინისტრირება**
დარბი/სპეციალობა – მარკეტინგი

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 3 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი – 1 საშტატო ერთეული.

დარბი/სპეციალობა – მენეჯმენტი

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 3 საშტატო ერთეული.

დარბი/სპეციალობა – ფინანსები

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 3 საშტატო ერთეული;
ასისტენტი – 1 საშტატო ერთეული.

❖ **მიმართულება – ინჟინერია**

დარბი/სპეციალობა – ინფორმატიკა

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი – 1 საშტატო ერთეული.

❖ **მიმართულება – მიმართულებათაშორისი დარბი ან სპეციალობები**

დარბი/სპეციალობა – სტატისტიკა

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული.

❖ **მიმართულება – სამართალი**
დარბი/სპეციალობა – სამართალმცოდნეობა

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული.

❖ **მიმართულება – ჰუმანიტარული მეცნიერებანი**
დარბი/სპეციალობა – ფილოლოგია

ქვედარგი/სპეციალიზაცია – ინგლისური ფილოლოგია
ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;
ქვედარგი/სპეციალიზაცია – ქართული ფილოლოგია
ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული.

კონკურსის ჩატარების პირობები

❖ პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 6 წლის გამოცდილება.

❖ ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 3 წლის გამოცდილება.

❖ ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

❖ ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის

შრომის ანაზღაურების ოდენობა

განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით.

ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი აირჩევა

4 წლის ვადით.

პროფესორი და ასოცირებული პროფესორი

აირჩევა 6 წლის ვადით.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დამტკიცებული ფორმით); **დანართი 1**
- ბ) კონკურსანტის ანკეტა (დამტკიცებული ფორმით); **დანართი 2**
- გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები, ასევე, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლები;
- დ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები);
- ე) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (ბოლო 10 წლის განმავლობაში, წლების მითითებით);
- ვ) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით შესაბამისი სალექციო კურსის (კურსების) სილაბუსი (სილაბუსები);
- ზ) ბოლო პუბლიკაციის/ნაშრომის/ნიგნის/მონოგრაფიის ეგზემპლარები ან ასლები;
- თ) 2 ფოტოსურათი 3/4-ზე; ელექტრონული CD დისკზე;
- ი) პირადობის მოწმობის ასლი.

კონკურსის ჩატარების ვადა

კონკურსი ცხადდება 2017 წლის 14 დეკემბერს.

საშუაშობის მიღება ინარჩუნებს

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიაში,

2018 წლის 15 იანვრიდან 22 იანვრის ჩათვლით,

მისამართი: ქ. თბილისი, ჯურჯა ნაღრიძის ქ. №46,

ტელ. 2 36-91-60.

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

❖ **პირველი ეტაპი** – საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით საბუთების გაცნობა/შესწავლა;

❖ **მეორე ეტაპი** – გასაუბრება.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება

2018 წლის 30 იანვარს.

დანაკრებიანი ინფორმაცია იხილეთ შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯიას ოფიციალურ ვებგვერდზე www.usgeorgia.edu.ge

კონკურსი უფროსკლასელთათვის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და საქართველოს ტრადიციული რენვის ასოციაცია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს თემაზე:

„ტრადიციული სათამაშოები“

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს დღემდე, უზუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის ხელნაკეთი სათამაშოების დამზადების ტექნოლოგია;
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- შექმნას განსხვავებული, შემოქმედებითი პლატფორმა სხვადასხვა ქვეყნების მოზარდების დამეგობრებისათვის;
- გაუღვივოს ახალგაზრდა თაობას ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი;
- დაეხმაროს ახალგაზრდებს სხვა კულტურების გაცნობაში და ჩამოყალიბოს მათ დამოუკიდებელი პატივისცემის გრძობა.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური გულისხმობს სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დანერგულ სათამაშოს დამზადების აღწერილობას;
 2. მოსწავლეთა მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით შესრულებულ (დახატული, გამოქვიანილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათ, მაღალი ხარისხით გადაღებულ, ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწარმთან ერთად jpg ფორმატში;
 3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას (გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით);
 4. ვორდის ფაილში დანერგული ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.
- სასურველია, ნიმუში ჩაინეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან. კონკურსის პირველი ტურის შედეგად შერჩეული საუკეთესო

ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლაში უნდა გადმოგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com
 - ან, მოგვანოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაძევილის ქ. 5.
- მეორე ტური** გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, გადმოგზავნიან დამატებით ინფორმაციას (ვორდი, ფოტო, ვიდეო ან აუდიო). გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.
- გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“-ს ნოდებს. ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“ და გაშუქდება მედიით.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – დასახელება;
2. ნამუშევრის ავტორი მოსწავლის/მოსწავლეების – სახელი, გვარი;
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
4. სახელმწიფო, ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მითითებულ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი).
7. ნიმუშის აღწერა
აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:
 - რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;
 - ნიმუშის სახელწოდება (აგრეთვე, მითითებულ თუ არის ცნო-

ბილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);

- სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩანერილი ეს ნიმუში და ვისგან იხსნა მისი დამზადება?
- რას უკავშირდებოდა აღნიშნული სათამაშოს გამოყენება, ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში თამაშობდნენ წარმოდგენილი ნიმუშით (აღწერეთ გარემოება და თამაშის პროცესი (თუ ეს შესაძლებელია);
- აღწერეთ თავად ნიმუშის დამზადების პროცესი (მასალა და ტექნოლოგია);
- რა ატრიბუტები/იარაღები უკავშირდება/ახლავს თან მის დამზადებას/გამოყენებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);
- სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის დამზადების დროს;
- რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, რელიგიურ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. და-ასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის. სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო/აუდიო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა.

მოსწავლეთა განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ნამუშევრის აღწერილობითი ნაწილი – 10 ქულა;
 - ნაკეთობის ტრადიციულობა – 10 ქულა;
 - ნაკეთობის ესთეტიკური მხარე – 10 ქულა.
- კონკურსის გამარჯვებულებისთვის გამოყოფილია შემდეგი ადგილები:** ერთი პირველი ადგილი; მეორე ადგილს გაიყოფს ორი მონაწილე; მესამე ადგილს გაიყოფს სამი მონაწილე. შეფასება მოხდება ქულათა დაჯამების პრინციპით. ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.
- გადმოგზავნის ვადა 2018 წლის 20 მარტი.**
გვერდით: სამუშაო დღეებში მარინა თაქთაქიშვილი 599 08 40 03; aramaterialuri@yahoo.com

საქალაქური თემა

უბედურება ის არის, რომ ერთ საქმეზე

კონსტრასტია მხოლოდ რამდენიმე დღე შეგვიძლია

თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მიმართ ჩადენილი სასტიკი დანაშაულიდან ორი კვირა გავიდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საზოგადოების რეაგირება ნელ-ნელა მიწოდდა.

ამ ეტაპზე, სწორედ ამ მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევაზე და სამომავლოდ, დანაშაულის პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე საუბრობენ; მანდატურის სამსახურმა „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო“ გამოცდა, რომელშიც მოცემულია სკოლაში დარღვევების და სხვადასხვა გადაუდებელ, კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქცია.

სახელმძღვანელოს მიზანია შესაბამისი დროული და ეფექტური რეაგირება უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფისთვის.

ჩვენი გაზიარებული აზრები ამ მხარეზე პრობლემას და ვთხოვთ ყველა დაინტერესებულ პირს, თავისი მოსაზრება შემოგვთავაზოს სკოლაში ძალადობის პრევენციის თაობაზე. ამჟამად გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ბიბი მურღულია.



ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი პირდაპირ იშვერს ხელს სკოლისკენ, სკოლის დირექტორებისკენ, მასწავლებლებისკენ. არა მგონია, რომ ეს სამართლიანი მიდგომა იყოს. მე არ ვიცი არც ერთ სკოლას, სადაც ვინმე ცდილობდეს მკვლევების გაზრდას, მე არ ვიცი ისეთ სკოლას, სადაც მასწავლებლები ამოცანად ისახავენ, რომ ბავშვებს ცუდი ქცევა ასწავლონ. რა თქმა უნდა, ტრადიციულად უმძიმესი ამბავია, რაც მოხდა, მაგრამ ამის გამო ყველამ რომ ქუჩის სწავლება დაუწყოს სკოლას და ყველამ მკვლევების გამზრდელი უნოდოს მასწავლებელს ან დირექტორს, ეს მხოლოდ დაბალი კულტურის მაჩვენებელია. მე ვიცი პირადად ორივე სკოლის დირექტორს. ისინი კარგად ადასტურებდა და პროფესიონალურად მიმართა. ვფიქრობ, მსგავსი ამბავიდან დაზღვეული არავინ არის და ამიტომ, ამ შემთხვევაში, უფრო მეტად ობიექტური ხედვა უნდა გვიძლიდეს ნინ, როდესაც საჯარო განცხადებებს ვაკეთებთ ან საჯაროდ ვაფასებთ ვინმეს.

პრობლემა კომპლექსურია და მასში ძალიან ბევრი ფაქტორანტია ჩართული – სახელმწიფო, საზოგადოება, ოჯახი და, რა თქმა უნდა, სკოლა. სკოლას თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს. ამიტომ სკოლამ დაინიშნა. არ ვფიქრობ იმას, რომ მთავარი აქცენტები უნდა გადავიდეს ფსიქოლოგიის სამსახურზე ან მანდატურზე, კონტროლის მექანიზმები, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ეს მექანიზმები არ არის გადამწყვეტი წინაპირობა ამ პრობლემის აცილების. მაშინ რა არის გადამწყვეტი წინაპირობა? ეს არის აღზრდის სისტემა, რომელიც უნდა მუშაობდეს სკოლაშიც და, რა თქმა უნდა, ოჯახშიც. ვერაფერ და მარწმუნებს, რომ ადამიანის ჩამოყალიბებაში ლომის წილი არ უდევს ოჯახს. სკოლა, თავისთავად ცხადია, უნდა იაზრებდეს აღზრდის სისტემას, რომელშიც უნდა იყოს გათვალისწინებული ღირებულებების ჩამოყალიბება პირველივე კლასიდან. ღირებულების გარდა, ადამიანში უნდა იყოს ჩამოყალიბებული მთელი რიგი უნარებისა, რაც აუცილებელია, რომ ის ადეკვატურად იქცეოდეს – მაგალითად, ნებისყოფა, როდესაც რაღაც მოგიწევს, ეს აუცილებლად არ უნდა გააკეთო; მაგალითად, სიმშვიდე ან კონფლიქტის მოგვარების უნარი. სამწუხაროა, რომ თანამედროვე სკოლებში ამაზე აქცენტები არ კეთდება და აქ მხოლოდ 51-ე საჯარო სკოლას ან მხოლოდ პირველ ექსპერიმენტულს არ ვგულისხმობ. ეს თანაბრად ეხება ყველას. ერთი, აღზრდის სისტემის არარსებობა და მეორე, ამ სისტემის რეალურად, კარგად, გონივრულად განმახორციელებელ ადამიანთა ნაკლებობა ჩვენს სკოლებში ქმნის ცუდ პირობას საი-მისოდ, რომ პრობლემა პრობლემად რჩებოდეს.

„ჩემი შვილი უნდა გამოვევებო“ და ა.შ., (ცხადია, გასაგებია, მაგრამ მისაღები არ არის. რაგინდარა მიზეზი არსებობდეს, უნდა მოქებნოს ადამიანმა დრო, რომ შვილთან იმუშაოს. ადამიანი თვითონ ქმნის, პირველ რიგში, თავის თავს, მაგრამ მშობლის და ოჯახის ფუნქცია, ისევე როგორც მასწავლებლის, ძალიან დიდია. ამიტომ ამ ფუნქციას ვინმე თავს თუ არიდებს და პასუხისმგებლობას არ იღებს თავის თავზე, ეს, რა თქმა უნდა, არ ვარა.

შემდეგი მომენტი საზოგადოებაა. რა მენტალიტეტიც გვაქვს საზოგადოებაში, იმის შედეგებს ვინ ვხვდებით ხოლმე, მაგრამ დამოკიდებულებები, განწყობები, რაც ჩვენს საზოგადოებაში უკვე ათწლეულებია (თუ ორი საუკუნე და კიდევ მეტი არა) გაბატონებულია, გადადის ჩვენს შვილებზე. ისინი ფიქრობენ, რომ შეიძლება იყო უპასუხისმგებლო, მაგალითად, ცნობილია ჩვენი დროსთან დამოკიდებულება, არც ჩვენს დროს ვუფრთხილდებით და არც სხვისას. თუნდაც, სხვა ადამიანების წინაშე გარკვეული პასუხისმგებლობები რომ არსებობს, გვაწინააღმდეგებს, „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ ქართული ნათქვამია და ძალიან მოგიმძღვანედა ეს ამბავი, ბოლო დროსაც, თუმცა, მუდმივად უნდა გვახსოვდეს სხვა მაქსიმაც: შენი თავისუფლება მთავრდება იქ (და შენი სურვილებიც), სადა იწყება სხვისი ცხოვრება, ანუ სადაც იწყება სხვა პიროვნება და მისი უფლებები. „მერე რა მოხდა“ ძალიან ქართული დამოკიდებულებაა ყველაფრის მიმართ, სრული უპა-

ჩვენ არ გვიყვარს სხვისი უფლებების აღიარება, აქედან გამომდინარე, არ გვიყვარს ნუსერიბი. ნუსერიბი თითქმის ზღუდავს ჩვენს თავისუფლებას – ეს დამლუპველია. ყველაფერი ის სკოლაშიც უნდა გათვალისწინდებული იყოს და ოჯახშიც. ოჯახს ხელი უნდა შეუწყობდეს, რომ მშობლებმა გააცნობიერონ თავიანთი ფუნქციები და ზუსტად იცოდნენ, რა გააკეთონ და რა შემთხვევაში როგორ მოიქცენ, როგორ ჩამოყალიბონ საკუთარ შვილებს ეს ღირებულებები. ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს აღზრდის სისტემაში, რომ როგორმე დავძლიოთ ჩვენი ხასიათის, მენტალობის ნაკლოვანებები. პირდაპირ უნდა ვთქვათ, ჩვენ, ყველას, გვაქვს ხასიათის ნაკლოვანებები და შეიძლება უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ მომდევნო თაობები მაინც დამაინც იმაში არ დავიმსგავსოთ, რაც არ მოგვწონს საკუთარ თავში.

ჩვენ, ყველას, გვაქვს ხასიათის ნაკლოვანებები და ვიწოდებთ უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ მომდევნო თაობები მაინც დამაინც იმაში არ დავიმსგავსოთ, რაც არ მოგვწონს საკუთარ თავში.

ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება და პასუხისმგებლობა იმ ადამიანებისა, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იფიქროს არც მანდატურის სამსახურმა, არც სკოლის ადმინისტრაციამ, არც მასწავლებელმა, არც შესაძლოა შეესწრო ან შეესწრება ასეთ პირობებს, რომ კონფლიქტის იმწუთიერი დასრულება მის მოგვარებას ნიშნავს. აუცილებელია აბსოლუტურად დარწმუნება იმაში, რომ პრობლემა მოგვარდა. თუკი ასეთი კონფლიქტი წარმოიქმნება, აუცილებლად უნდა ჩაერთოს ყველა, ვისაც ხელენიფება მისი მოგვარება და ვისაც შეუძლია, ფუნქციურად ჩაერთოს ამ საქმეში. პირველ რიგში, რასაკვირველია, გულისხმობს ადმინისტრაციას, დამრიგებელს, სხვა მასწავლებელს, მანდატურებს. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ კონფლიქტი ამოწურონ. აუცილებელია მშობლის ჩართულობა, მან უნდა იცოდეს, რომ მისი შვილი კონფლიქტშია ჩართული და, თავის მხრივ, უნდა ცდილობდეს ამ კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას და არა ისეთ ჩარევას, როგორც ხანდახან იცინა.

რაც შეეხება ოჯახს, როგორ შეიძლება სკოლის დირექტორს ან მასწავლებელს უსაყვედურო, რატომ არ უფლიან ათეულობით ბავშვს, თუკი შენ ვერ უვლი შენს ერთ შვილს. მე არ მინდა ისრების გადატანა უსამართლოდ, მაგრამ ოჯახი მთავარი ადგილია, სადაც ბავშვი უნდა აღიზარდოს. მშობლის უპირველესი პასუხისმგებლობა სწორედ ეს არის. განცხადებები: „მე არ მცალია“,

სუხისმგებლობა, სხვა ადამიანის ინტერესების აბსოლუტური იგნორირება და თუ ის ადამიანი შეეცდებოდა, მცირედად მაინც დაიცავს თავისი უფლება, ინტერესი, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, ამას გასაოცარი აგრესია მოჰყვება ხოლმე, თითქოს ის არბევდეს რაღაც პრინციპებს და არა ჩვენ, რომლებიც იგნორირებას ვუწვევთ მის ინტერესებს. სხვისი დაჩაგვრა, სხვისი ინტერესების არგათვალისწინება, იგნორირება, სხვისი ფეხქვეშ გათელვა არის როგორც ქრისტიანული, ისე ზოგადადამიანური მორალის, ასევე ევროპული ღირებულებების (რომლისკენ მისწრაფებას ასე ვძეკლარირებთ) დასამარება. ჩვენ არ გვიყვარს სხვისი უფლებების აღიარება, აქედან გამომდინარე (ამას სხვა მიზეზებიც აქვს), არ გვიყვარს ნუსერიბი. ნუსერიბი თითქმის ზღუდავს ჩვენს თავისუფლებას – ეს დამლუპველია. ყველაფერი ეს სკოლაშიც უნდა გათვალისწინდებული იყოს და ოჯახშიც. ოჯახს ხელი უნდა შეუწყობდეს, რომ მშობლებმა გააცნობიერონ თავიანთი ფუნქციები და ზუსტად იცოდნენ, რა გააკეთონ და რა შემთხვევაში როგორ მოიქცენ, როგორ ჩამოყალიბონ საკუთარ შვილებს ეს ღირებულებები. ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს აღზრდის სისტემაში, რომ როგორმე დავძლიოთ ჩვენი ხასიათის, მენტალობის ნაკლოვანებები. პირდაპირ უნდა ვთქვათ, ჩვენ, ყველას, გვაქვს ხასიათის ნაკლოვანებები და შეიძლება უნდა ვიმუშაოთ იმაზე, რომ მომდევნო თაობები მაინც დამაინც იმაში არ დავიმსგავსოთ, რაც არ მოგვწონს საკუთარ თავში.

რაც შეეხება სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, მისი პასუხისმგებლობა უნდა იყოს ძალიან მაღალი. პირველ რიგში, შექმნას ბავშვების თვითრეალიზების პირობები: იყოს მეტი სპორტული წრე, მეტი სახელოვნებო წრე... ეს წრეები უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვები თვითრეალიზების, აი, ასეთ გამოხატულებას სთავაზობენ მერე საზოგადოებასაც და სახელმწიფოსაც.

ყველას უნდა, რომ წარმატებას მიაღწიოს, პოპულარული იყოს, განსაკუთრებით ამ ასაკში, ყველას უნდა, რომ მას აღიარებდნენ, უყვარდეთ, მაგრამ რით დამოსახურებს ამას, ასეთი ქცევით? ასეთი აგრესიით? დიახ, ხანდახან ამითაც იმსახურებენ ხოლმე, რაც ნონსენსია, შეუძლებელია. სკოლამ უნდა აუხსნას კარგად, რომ თვითრეალიზების და თვითგამოხატვის მსგავსი ფორმა, სხვების დაჩაგვრის ფონზე გამოხატული ფორმა, უღირსობაა და შეუძლებელია, გამოდგეს ნამდვილი, რეალური წარმატებისთვის. სახელმწიფომ ეს აუცილებლად უნდა შეძლოს, უახლოეს წლებში მაინც, სანამ აღზ-

რდის სისტემა ნორმალურად ამოქმედდება (თუ გველირსა და ამოქმედდა, მარტო კარგი გააზრება და ქალაქზე კარგად დაწერა კი არ უნდა, ვიმეორებ, კარგი შემსრულებლები და აღმსრულებლებიც სჭირდება), მანამდე პატრული სკოლის პერიმეტრს ხანდახან მაინც უნდა სტუმრობდეს და მანდატურის სამსახურის უკეთ მომზადება და მათი ფუნქციების უკეთ განსაზღვრა შეიძლება. თუკი შენ სკოლაში აირიდებ კონფლიქტს და სადინარს მისცემ, სკოლის გარეთ რაც მოხდება ის მოხდება, ეს უარესი ამბავია. მესმის, რომ ყველა იმ შემთხვევაში, რაც მე ჩამოგივალეთ, მაინც არ ვიქნებით დაზღვეული, რომ ასეთი რამ არ მოხდება, იმიტომ რომ, სამწუხაროდ, სამყარო ასეა მოწყობილი, ამას აბსოლუტურად ვერაფერ გამოიცხავს, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ მაქსიმალურად შევზღუდოთ ასეთი აგრესიის და მით უმეტეს მკვლელობის გამოვლენის შესაძლებლობაც კი.

ბავშვებს, მასწავლებლებს, დირექტორებს კარგად უნდა მოეუსაბინოთ. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ერთ საქმეზე კონცენტრაცია მხოლოდ რამდენიმე დღე შეგვიძლია, მერე გვაიწყდება. სად არის ის გადაწყვეტილებები, რაც რამდენიმე დღის წინ თუ სამი წლის წინ, თუნდაც ათი წლის წინ მივიღეთ? ვინ აკონტროლებს მათ შესრულებას, რატომ არ მოეზობს სისტემა, რომელზედაც ჩვენ წლების წინაც ვსაუბრობდით, როცა მსგავს ტრადიციებს შევეჩვებოდით. ვინ არის პასუხისმგებელი ამაზე? სამწუხაროდ, ორი კვირის შემდეგ, ეს თემა საერთოდ გაქრება და იქამდე ხმის ამომღები არავინ იქნება, სანამ მომდევნო მსგავსი ამბავი არ მოხდება. ჩვენს ტელევიზიებში სკოლის პრობლემატიკაზე გადაცემებს საერთოდ ვერ ნახავთ, იმიტომ რომ, თურმე, ეს საზოგადოებას არ აინტერესებს. საზოგადოება, რომელსაც არ აინტერესებს სკოლა, დაინტერესდება მკვლელობით. ასეთი უპასუხისმგებლობა ჩვენი საზოგადოებისა უნდა დამთავრდეს. საზოგადოებას, რომელიც ჯერ კიდევ ლაპარაკობს ომერტაზე, დემოკრატის პრინციპზე, რაც მაფიოზების პრინციპია, რაზე უნდა ელაპარაკო? ასეთი ადამიანი კი, სამწუხაროდ, ჩვენ ირგვლივ ბევრია.

ერთხელ ჩემს მოსწავლეებს ვკითხვ: თქვენ გვერდით კაცი რომ მოკლას და დაინახოთ, ეს ვინ გააკეთა, იცყვით ამის თაობაზე-მეთქი? აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიპასუხა, არ ვიტყვი.

შენი მეზობელი რომ მოკლან-მეთქი, მაინც არ ვიტყვითო. შენი ძმა რომ მოკლან-მეთქი? ამაზე დაფიქრდნენ, მაგრამ ბევრმა თქვა, მე თვითონ გადავუხდდი სამაგიეროსო. ეს საზოგადოების მდგომარეობას მიანიშნებს, ჩვენი მენტალობის ვითარებას მიანიშნებს, ადამიანები არ ენდობიან არც საზოგადოებრივ და არც სახელმწიფო ინსტიტუტებს და ამბობენ, ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ ამ პრობლემასო. მოგვარებაში რას გულისხმობენ? სამაგიეროს გადახდას, რომელიც არც კანონის, არც ზნეობის, არც რელიგიის და არც არანაირ ფარგლებში არ ჯდება. მაშინ უნდა დავერიოთ ერთმანეთს, ალვადინოთ სამაგიეროს უქვეყლად გადახდის პრინციპი და ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ამ კვირებს სისხლის აღების ტრადიციას.

იმედს ვიტოვებ, რომ ეს არ არის და არც იქნება ჩვენი საზოგადოების თავისუფალი არჩევანი. თუმცა მხოლოდ ლაპარაკი სასურველ შედეგს ვერ მოიტანს – თუ კარგი იდეა ვერ ხორციელდება, ის აღარაფრით განსხვავდება ცუდი იდეიგან.

მომზადდა ბაბა ჭიჭინამ

„ახალი განათლების“ 34-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილის „საერო პირთა სახეები ქართულ ჰაიპოგრაფიაში“ ავტორია თამარ კობერიძე, ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (და არა ლია გოგობია, ამავე სკოლის მასწავლებელი). რედაქცია ბოდიშს უხდის ავტორს დაშვებული შეცდომისთვის.

გაზეთ „ახალი განათლების“ 37-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ლვთის ბაძვის პრობლემა“ (ავტორი – ქეთევან თავდიშვილი) დაშვებულია შეცდომა. მე-7 აბზაცის ერთ-ერთი სტრიქონი „ამიტო კურაპალატი საყვედურობს საბა იშხნელს...“ უნდა იკითხებოდეს ასე: „ბაგნატი კურაპალატი საყვედურობს საბა იშხნელს...“

საქართველო

მასწავლებლები არ უნდა დავტოვოთ მხოლოდ მათთვის ინიციატივებისა და ინტეგრირების ამარა

გოლო დროს სკოლებში მომავალი გულიანების შემთხვევები სერიოზული შფოთვისა და სასწრაფო თემა გაცხად ქართულ საზოგადოებაში. სამსახურად, სწორად და სწორად მოვალეობა მოახდინა ტრადიციამ, როცა თანატოლებმა ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიგებ-
ტმა, ძალადობა იმ მხარეზე გამოწვევად აქცია, რომელიც, წლების განმავლობაში, სკოლებში და, ზოგადად, სისტემამ, მიუხედავად პრობლემის არსებობისა, სათანადო რეაგირების გარე-
შე ტოვებდა. როგორ აისახება გულიანების პრობლემა ქართულ კანონმდებლობაში, რა ხარვე-
ზები იკვეთება განათლების სისტემის მიდგომებში და რა ხელშეწყობა სჭირდება ავტორებს ჩაგვრის პრევენციის განსახორციელებლად, ამის შესახებ გვიმსაუბრა „პარტნიორობა ადამი-
ანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ანა არგანაშვილი.

**უფლებადამცველი ანა არგანაშვილი, „მიუხედავად იმისა, რომ გოლო წლებში აქტიურად დაიწყო გულიანების არსებობაზე საუბარი, ეს საკმარისი არ არის, რადგანაც კვლევების ჩატარების, შე-
დეგების ანალიზისა და კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებში მიდგომების ძიების გარეშე, ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია.“**

– 4 დეკემბერს, განათლების მინისტრმა ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ფსიქოლოგებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც თქვენც ესწრებოდით. რა იყო ამ შეხვედრის მიზანი და კონკრეტულად რა საკითხებზე იმსჯელეთ?

– შეხვედრის მიზანი იყო, გვემსჯელა იმ გამოწვევებზე, რის წინაშეც თანაბრად დგანან როგორც სამთავრობო უწყებები, ისე სამოქალაქო საზოგადოება. ჩვენი ორგანიზაციის პოზიციით, არ შეიძლება ძალადობრივი ფაქტები განვიხილოთ ბავშვის უფლებებისგან განცალკევებით. ქვეყნის უმთავრესი პრობლემა სწორედ ბავშვის უფლებების იგნორირებაში მდგომარეობს, ამიტომ, რაც არ უნდა გაძლიერდეს სკოლაში ფსიქოლოგის ინსტიტუტი, თუ პარალელურად არ გაძლიერდა ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის საკითხი, სოციალური სამსახურის როლი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და თუ სხვადასხვა რეფორმაში არ ავსახებთ ბავშვთა ინტერესები, მხოლოდ განათლების სისტემა ამ პრობლემას ვერ აღმოფხვრის. როგორც შეხვედრაზე აღვნიშნე, განათლების სამინისტრომ ერთიანი სამოქმედო გეგმის ინიცირებით უნდა დაიწყოს მოქმედება უნდა აიღოს საკუთარ თავზე ლობიერების ფუნქცია, ბავშვების ხმა მიიტანოს სხვადასხვა უწყებებამდე, დაარწმუნოს ისინი, რომ ბავშვებს ვერ დავიცავთ მხოლოდ ერთი სამინისტროს მუშაობით და შესაბამისად, არ უნდა გვექმნოდეს იმის მოლოდინი, რომ სკოლებში ძალადობას ერთი ფსიქოლოგი მოაგვარებს.

თავისთავად, შეხვედრაზე შეთანხმებებს ვერ მივაღწევდით, რადგანაც ეს სამუშაო შეხვედრა იყო. თუმცა, აქ ნამოქრები იდეები მინისტრმა უწყებათაშორის საბჭოზე უნდა გაიტანოს, რომელიც შემდეგ გადაწყვეტილებას მიიღებს. ჩვენ სამინისტროს დახმარება შევთავაზებთ კვლევების ჩატარებაში, სხვა ორგანიზაციებმა – ანტიბულნინგური კამპანიის წარმოებაში, ცნობიერების ასამაღლებლად მიმართული ღონისძიებების განხორციელებაში, ასევე მასწავლებლებთან მუშაობა, სკოლებისთვის ადამიანის უფლებების გაცნობა და სხვა ძალიან ბევრი სასარგებლო ღონისძიება. რამდენად ღია იქნება ეს პროცესი და გაითვალისწინებს თუ არა ჩვენს რჩევებსა და დახმარებას, ეს განათლების სამინისტრომ უნდა გადაწყვიტოს. ძალიან ხშირად, არასამთავრობოებს გვებარებენ, რომ მხოლოდ ვაკრიტიკებთ ხელისუფლებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის, ჩვენ ხშირად დახმარებასაც ვთავაზობთ.

– ანა, როგორ ფიქრობ, რა არის გამოსავალი? როგორც უფლებადამცველი, რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ურჩევთ სკოლებს, სახელმწიფოს, რომ დაცული იქნეს ბავშვის უფლებები და უსაფრთხოება?

– ბუღინგზე რეაგირება სკოლებისთვის სავალდებულო უნდა იყოს, ყურადღების მიღმა არც ერთი ძალადობრივი ფაქტის გამოვლინება არ უნდა დარჩეს. ამისთვის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, კანონმდებლობაში უნდა გაჩნდეს დეფინიცია, რომლის შემდეგ ოფიციალურად უნდა დაიწეროს, რომელ უწყებას რა ვალდებულება აკისრია ბუღინგის შემთხვევაში. დღესდღეობით, თუკი რაიმე განმარტება არსებობს კანონმდებლობაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის მიმართ უფროსების მხრიდან განხორციელებულ ძალადობას ეხება. სამწუხაროდ, არც ერთ კანონში არაფერია ნათქვამი ბავშვებს შორის განხორციელებულ ძალადობაზე, ჩავვრასა და დაცინვაზე, თუნდაც არასასურველი გარემოს შექმნის თაობაზე და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, ხარვეზია. ამიტომაც, ვფიქრობ, კანონში ბუღინგის უნდა აისახოს, როგორც ძალადობრივი ფორმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იმითაც არის, რომ ბუღინგის შემთხვევაში, რეაგირება ორივე მხარის წარმომადგენელ ბავშვს თანაბრად ესაჭიროება – ანუ ბუღინგის განმარტების დონის დონის ობიექტი და ბუღინგის ობიექტი დახმარების საჭიროების მქონეა. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება ცალსახად შევრაცხოთ აგრესორად ან მოძალადედ. იმ ბავშვსაც, რომელიც ჩავვრის ფორმას ახორციელებს, ისევე უნდა დავეხმაროთ, როგორც ბუღინგის მსხვერპლს. არ შეიძლება სკოლაში პრობლემა მოიცავდეს იმით, რომ ბავშვის სკოლიდან გადაყვანა მოითხოვოს, რადგან სხვა სკოლაშიც, საგარეუდოდ, იგივე პრობლემა შეიქმნება. ბუღინგის დროს ქმედებაზე პასუხისმგებლობა უნდა მოეთხოვოს უფროსს, რომელსაც უნდა დაეფიქსირებინა ქცევა და ემუშავა მის აღმოფხვრაზე, უნდა გაერკვია, ბავშვი, რომელმაც ჩავვრის ქცევა განახორციელა, რატომ იქცევა ასე. ქცევის მიზეზებზე უნდა იმუშაოს მშობელთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად. ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ბუღინგის კანონმდებლობის დონეზე მონესრიგდეს და განისაზღვროს, იმ უწყებას დაეკისროს უპირა-

ტესი პასუხისმგებლობა, ვინც უნდა მართოს ბუღინგის რეაგირება, ამით სახელმწიფოს გამოსავალს ვთავაზობთ. წლების წინაც ვაფრთხილებდით სამინისტროს, რომ ეს კრიზისი დადგებოდა. სამწუხაროდ, მაშინ ყურადღება არ გამახვილეს ჩვენს რჩევებზე, არ მოგვისმინეს და ეს კრიზისი მართლაც დადგა. ახლაც იმავე პოზიციაზე ვართ და ვთავაზობთ დახმარებას, რომ ბავშვის უფლებები დაცული იყოს ქვეყანაში.

– ხორავას ქუჩაზე მოხდარი ტრაგედიის დროს თქვენ განაცხადეთ – „რა უნდა ექნა მასწავლებელს, რომც გაეგო ბუღინგის შესახებ რამდენიმე დღით ადრე? თქვენ რას იზამდით კანონის, გაიდლაინის, ინსტრუმენტის და ელემენტარული მონესრიგების გარეშე?“ გამოდის, რომ სკოლა, საზოგადოება და სახელმწიფო ცუდად რეაგირებს ამ ყველაფერზე?

– ცუდად კი არა, დღემდე მათ არ ჰქონდათ არანაირი რეაგირება. ბავშვებს თამარ სანიკიძის ერთ-ერთ ინტერვიუს (თუ არ ვცდები, 2013 წელი იყო), სადაც მან თქვა, რომ სკოლებში ბუღინგის ერთეული შემთხვევა და არ შეიძლება სისტემურზე ვისაუბროთ. როგორც ჩანს, ის შეცდა და იმედა, წუხს ამ შეცდომის გამო. დღემდე ბუღინგის მიჩნეული იყო ისეთ ქვეყნად, ძალადობის ისეთ ფორმად, რასაც არ სჭირდება სპეციალური მეთოდოლოგია, სპეციალური მიდგომა. ეს არასწორია, რადგან ბუღინგის, სინამდვილეში, უთანასწორობის, კონტროლისა და ძალაუფლების გამოვლინებაა, რომელიც ზრდასრულებშიც ხშირად გვხვდება სამსახურშიც და სხვადასხვა ურთიერთობების დროსაც. ამიტომაც არის საჭირო მსგავს სიტუაციებში სპეციალური მიდგომა. ჩვენს სკოლებში კი, ბუღინგის შემთხვევების გამოვლინებას, მშობელს იბარებენ, ბავშვებს შეიყვანენ დირექტორის კაბინეტში და იქ მისცემენ მითითებებს, ამით შემოიფარგლებიან. ასეთი მიდგომით, რასაკვირველია, პრობლემას ვერ გადაჭრით. პრობლემის გადასაჭრელად კარგად განსაზღვრული მეთოდოლოგია გვჭირდება, მასწავლებლები არ უნდა დაეჭვდეთ მხოლოდ მათი ინიციატივებისა და ინტუიციის ამარა. შედაგვმა, სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის თანახმად, უნდა იცოდეს, როგორ იმოქმედოს ბუღინგის შემთხვევაში – ვის თხოვოს დახმარება, რას დააკვირდეს, როგორ შეაფასოს თითოეული შემთხვევა – რამდენად მწვავე ფორმაა, რამდენ ხანს მიმდინარეობს ბუღინგის და ა.შ. მთელი რიგი მახასიათებლების შესწავლა საჭირო, რომელიც დანერგილი უნდა იყოს. თითოეულ მახასიათებელს მკაფიოდ განსაზღვრული მიდგომა უნდა ჰქონდეს. ამის გარდა, საჭიროა, მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, მაგალითად, ბუღინგის პრევენციისთვის არსებობს სპეციალური თამაშები, ე.წ. „როლური თამაშები“, რომელიც კლასს ეხმარება, მხარდაჭერა გამოუცხადოს ნებისმიერი ფორმით განხორციელებული ჩავვრის მსხვერპლს. მასწავლებელმა, როგორც კი შეამჩნევს ბუღინგის ფაქტებს, მაშინვე უნდა ჩართოს ეს მეთოდოლოგია და დაიწყოს მუშაობა, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდი. თუმცა, ამისთვის მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სპეციალურად განსაზღვრული დრო. მაგალითად, შედაგვმა შეიძლება ისტორიის გაკვეთილზე ვერ შეძლოს ამის ინტეგრირება, მაგრამ ბუღინგის პრევენციისთვის სპეციალურად განკუთვნილ დროს განახორციელებს აქტივობას, მხარდაჭერა გუნდთან ერთად. მასწავლებელს ასეთი გუნდი აუცილებლად უნდა ჰყავდეს სკოლაში, მხარდაჭერებს შორის მხოლოდ ფსიქოლოგს ან მანდატურს არ ვგულისხმობ. სკოლაში ყოველთვის შეიძლება მოიძებნონ უფროსკლასელები, რომელთაც აქვთ ამ პრობლემის მართვის გამოცდილება ან სხვა ბავშვები. მაგალითად, ვეროპის საბჭოში არის ასეთი მოდელი – „ბავშვების ურთიერთ მხარდაჭერა“. სწორედ ამგვარი მოდელი უნდა ჰქონდეს მასწავლებელს შეთავაზებული ქცევის მართვის ინსტრუმენტები. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ის სავალდებულო ნაბიჯები, რომელსაც შედაგვმა განახორციელებს, რომ არ გამოიწვიოს უმთავრესი – ვითარების შეფასება. ჩემი აზრით, სავალდებულოა ბუღინგის შემთხვევების აღრიცხვა. სამწუხაროდ, ჩვენ სტატისტიკაც კი არ გავაჩნინა. თუკი აღირიცხება, ყოველწლიურად, სკოლაში, დაახლოებით, რამდენი შემთხვევა ფიქსირდება, გაცილებით უკეთესად შევძლებთ იმის შეფასებას, გვაქვს თუ არა შედეგი ამა თუ იმ ჩარევის დროს, ბუღინგის შემთხვევების კლება შეინიშნება თუ მატება. ამის გარდა, არსებობს გარემო რისკებიც – სპეციფიკური სიტუაციები, საზოგადოების გარკვეული მღელვარება ან შექმნილი ფონი, რომლის დროსაც, შესაძლოა ბუღინგის შემთხვევების რისკები ზრდა. ძალიან სერიოზული დაკვირვება, შესწავლა, ორგანიზება, ანალიზი სჭირდება ყველაფერს, შემდეგ, ამ ანალიზზე დაყრდნობით – პოლიტიკის გადახედვა.

თუ მასწავლებელს არც ინსტრუმენტი აქვს, არც ინფორმა-



ციის შეგროვების საშუალება, არც გაიდლაინი და მეტიც, არც კანონშია დეფინიცია, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, შემოიძლია გავიგო იმ მასწავლებლის, რომელიც ვერაფერს აკეთებს ბუღინგის პრევენციისთვის. ძალიან ბევრი გულისხმიერი გადაგვი ვიცი, მაგრამ მათ არ აქვთ რესურსი და მხარდაჭერა განათლების სამინისტროსგან, რომ გაუმკლავდნენ ბუღინგს.

– შეიძლება ვთქვათ, რომ პრობლემა სისტემურია?

– სამწუხაროდ, პრობლემა სისტემურია და ეს სახალხო დამცველის კვლევაზე დადასტურდა, რომელმაც ბუღინგის შემთხვევების მაღალი პროცენტი აჩვენა. ასევე ძალადობის მაღალი პროცენტი აჩვენებს გავრცელებულ ფენომენს მთელს ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, შემოიძლია ვთქვა, რომ პრობლემა სისტემურია და წლებია მიმდინარეობს ჩვენს სკოლებში. როგორც აღმოჩნდა, საკითხი ყველა სკოლაში მწვავედ დგას, თორემ მართვის ფარგლებში მოქცეული პრობლემა ასეთ მფოთვას არ გამოიწვევდა. ხშირად არასწორი მაგალითი მოჰყავთ, რომ ბუღინგის მთელ მსოფლიოშია და არა მხოლოდ ჩვენთან. კი ბატონო, ყველგან არის, მაგრამ ფორმებს გააჩნია, ზოგან უფრო მწვავედ, ზოგან უფრო იოლად.

ზოგადად, ბუღინგის ძალიან საფრთხილია, მის ფორმებსაც გააჩნია. შეიძლება მწვავე ფორმით გამოხატულმა ბუღინგმა მზარდობაში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზიანებას კი გამოიწვიოს. მაგალითად, მფოთვით პრობლემები გაუწნდეთ და სხვ. ჩვენ სწორედ ამაზე ვსაუბრობთ, თუ ბუღინგის მართვა ადრეულ ეტაპზე განხორციელდება და პატარა ასაკიდანვე სწორად ჩაერგება სკოლის ადმინისტრაცია, შედაგვმა, მშობელი, დახმარე სპეციალისტები, ასევე ჩართავთ სპორტულ აქტივობებსა და თვითდახმარების ჯგუფებს, მერწმუნეთ, ბუღინგის მართვა გაცილებით იოლად ნარმართება და დამაზიანებელი ეფექტიც ნაკლები ექნება. წლების შემდეგ კი იმასაც გავანალიზებთ – სწორია თუ არა პოლიტიკა, რომელსაც ვახორციელებთ.

– საინტერესოა, როგორია უცხოური გამოცდილება – იმ ქვეყნების მუშაობის მოდელები, სადაც შედეგები ხელშესახებია, როგორ ხორციელდება მათთან ბუღინგის პრევენცია?

– გავცეცანი კანადურ და ამერიკულ მოდელებს, ასევე ევროპის საბჭოს ქვეყნების მოდელებს – ყველგან არსებობს ბუღინგთან მუშაობის სპეციალური მეთოდოლოგია და გაზომვითი მათი შედეგები. ნამდვილად შეიძლება ამ მოდელების სიღრმისეული შესწავლა და ახალი ველოსიპედის გამოგონებას თავიდან ავიცილებთ. აი, მაგალითად, აშშ-ს მოდელებში ბუღინგის პრევენციის სამი დონეა: უშუალოდ ბავშვთან მუშაობა, ოჯახთან მუშაობა და თემში მუშაობა (თემი, ამ შემთხვევაში, სკოლასაც მოიცავს). მშობლებს ასწავლიან იმ ნიშნების ამოცნობას, რაც შეიძლება რისკ-ფაქტორად გადაიქცეს, ასევე, ბავშვის რესურსის ამოცნობას, რომელიც, ძირითადად, პოზიტიური რესურსია, რომლის გაძლიერება კარგად გაუმკლავდება პრობლემას. მაგალითად, თუ ბავშვს აქვს ინტერესი გარკვეული მიმართულებით, ხელი უნდა შეუწყონ ამ მიმართულების განვითარებას. ეს საუკეთესო მეთოდია იმისთვის, რომ რისკ-ფაქტორები შემცირდეს. მშობლებს ასწავლიან პოზიტიური მშობლების მეთოდებით მუშაობას – იმის ნაცვლად, რომ დასჯაზე იყენონ ორიენტირებული, პირიქით, დადებითი ქცევის ნახალისება გამოიყენონ.

ასევე თემში, საზოგადოებაში მთელი რიგი მოხალისეობრივი აქტივობები ხორციელდება ბავშვებისთვის და მათ, ფაქტობრივად, დრო აღარ რჩებათ თუნდაც კიბერ-ბუღინგისთვის. ბავშვები აქტიურად არიან ჩართული ეკოლოგიურ საქმიანობაში, თემის განვითარებაზე მიმართულ აქტივობებში – გარე განათების მონესრიგება, უსაფრთხოების დაცვა, მოხუცების მხარდაჭერა (მიდიან მოხუცთა თავშესაფრებში, გაზეთებს უკითხავენ და ა.შ.), ასევე, ჩართული არიან სპორტულ აქტივობებში, ხელოვნების ნრეებში. ჩვენი გარემოს ორგანიზება ნამდვილად შეიძლება ისე, რომ ბავშვების მოტივაციური სხვა ფაქტორები გახდეს (აკადემიური წარმატება, მოხალისეობრივი საქმიანობა და ა.შ.), ვიდრე ბუღინგის.

დღეს მთლიანად განათლების სისტემის რეფორმა აუცილებელი და არა მხოლოდ ბუღინგზე საუბარი, რაც გაცილებით

საქალაქური თემა

ნაკლები ეფექტის მომტანია. ალბათ, ყველას უნახავს, რომ ბავშვებს სკოლაში, დასვენების დროს, არანაირ სასარგებლო აქტივობას არ სთავაზობს სკოლა. სამწუხაროდ, დასვენების დროს ბავშვი, უბრალოდ, დაცინვას იყენებს ყველაზე კარგი თვითგართობის ფორმად. სისტემა უნდა გადაწყვიტოს ისე, რომ ცენტრში ბავშვი და მისი ინტერესები იდგეს. მოსწავლის ინტერესებსა და მის თვითშეფასებას მეტი მხარდაჭერა სჭირდება, ურთიერთობების გაჯანსაღებას უნდა შევეწყობოთ ხელი. რაც მთავარია, ბავშვს გვერდით უნდა ჰყავდეს მასწავლებელი, რომელიც თავის შრომას უფრო მეტად დაფასებულად მიიჩნევს და თავსაც უფრო ღირსეულად იგრძნობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღევანდელ მასწავლებელს, იმ სამუშაო პირობებიდან თუ თემიდან გამომდინარე, საეჭვოა ამდენი რამის გაკეთება მოუთხოვოთ და მან ეს შეძლოს. მით უფრო იმ ფონზე, როცა მასწავლებელს ხელში არანაირი ოფიციალური დამატკიცებელი ტესტი ან ინსტრუმენტი არ უჭირავს ბულინგის ზუსტად ამოცნობის და შემთხვევის მართვისთვის.

ამიტომ ვითხოვთ მთავრობისგან, რომ მარტო ძალადობაზე არ კონცენტრირდეს და გადახედოს ყველა სფეროში მიმდინარე რეფორმას, იქნება ეს ეკონომიკის, მართლმსაჯულების სფეროები თუ შრომითი კანონმდებლობა. იფიქროს არა მხოლოდ ბავშვებზე, არამედ მათ ოჯახებზეც. ამ დღეებში ბევრს საუბრობენ იმაზეც, რატომ არ აქვთ ოჯახებს შესაძლებლობა, მეტი დრო დაუთმონ შვილებს? იმიტომ, რომ შრომის კანონმდებლობაში არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც ბავშვების მხარდასაჭერად იქნება გამოყენებული. ამ პრობლემას კომპლექსური მიდგომა სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ დავიინახავთ, რამდენად აუცილებელია მთლიანად განათლების სისტემის რეფორმირება, ზოგადად, იმასაც დავიინახავთ, რომ ქვეყანაში ყველა პროცესი და რეფორმა სწორედ ბავშვის ინტერესებზე უნდა იქნეს ცენტრალიზებული.

- იზიარებთ თუ არა სკოლაში ფსიქოლოგის, მანდატურის და უბნის ინსპექტორის ჩარევას ბულინგის პრევენციაში?

- მართალი გითხრათ ვერ წარმომიდგენია, რომ სკოლაში ერთი ფსიქოლოგი ან ერთი მანდატური გაუმკლავდეს ბულინგს. როგორც გითხარით, ამ პრობლემის დაძლევა სწორედ მასწავლებლების რესურსის გაძლიერებით წარმოიშობება. მასწავლებლები უნდა გადაამზადდნენ ამ მიმართულებით, მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა, პრობლემაზე სამუშაოდ სპეციალური დრო გამოიყოთ პედაგოგებს, გაძლიერდეს მშობელთან თანამშრომლობა და თუ ამის შემდეგ, მაინც საჭირო გახდება, კი ბატონო, ჩაერთოს ფსიქოლოგი და მანდატური. პირველ დონეზე კი, ვერც ერთი და ვერც ხუთი მანდატური ვერ შეძლებს ამდენ ბავშვთან მუშაობას. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ ბულინგის პრევენცია აკრძალვას და შიშის სისტემას დაეყრდნოს. უფრო მეტად ბავშვის ცნობიერების ამაღლებაზე უნდა ვიზრუნოთ და არა მის დაშინებაზე, ეს გაცილებით კარგი ეფექტს მოგვცემს.

რასაკვირველია, არ ვიზიარებ აზრს არც უბნის ინსპექტორის და არც სადამსჯელო ღონისძიებების ამ პროცესში ჩართვის შესახებ. მასწავლებლისა და მშობლის ერთობლივი მუშაობით უკეთეს განხორციელდება პრევენცია სკოლაში, ვიდრე უბნის ინსპექტორის ჩართვით, რადგან სკოლა სწორედ ის სადამსჯელო დანებებულეა, რომელსაც უნდა ვანდოთ ბავშვის სწორად აღზრდა. თუ მასწავლებელს ექნება რესურსი, რომ მშობელთან უწყვეტი კომუნიკაცია შეინარჩუნოს, მაინც უფრო მეტი რესურსი, რა საჭიროა სასარგებლო აქტივობებში, მაინც აღარ გახდება საჭირო უბნის ინსპექტორის ჩართვა. სკოლა, თავისი რეალური თუ პოტენციური გაგებით, მშობელთან ერთად, არის წამყვანი ბულინგის პრევენციაში.

ძალიან მნიშვნელოვანია, სამინისტრომ ბავშვის აღზრდაზე ადრეული ასაკიდან იზრუნოს. ახლა სწორედ სკოლამდელი აღზრდის პროგრამის სტანდარტებზე მუშაობენ და ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გათვალისწინონ და შეიტანონ პროგრამაში არაძალადობრივი კომუნიკაციის თუ სხვა მეთოდები.

- საზოგადოება ნაკლებად საუბრობს საკუთარ როლზე, თემის და თვითმმართველობის როლზე. როგორია თქვენი ხედვა

მათი ამ პროცესებში ჩართულობის შესახებ?

- გეთანხმებით, თემის, საზოგადოებისა და თვითმმართველობის როლზე არავინ საუბრობს - რამხელა როლი აქვს ამ პროცესებში თუნდაც თბილისის მერს. ახლანდელ მერს ძალიან კარგი გამოცდილება აქვს იმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სპორტს ახალგაზრდების სწორად ფორმირებაში. მაგალითად ამერიკის გამოცდილებას მოვიტან (ზშირად ეცინება ხოლმე ამ მაგალითზე), როცა დაინახეს, რომ ახალგაზრდებში ძალიან იყო დანაშაულის სტატისტიკა, პირველ რიგში, მოაწყვეს და გაანათეს სპორტული მოედნები, რადგან მიიჩნევს, რომ სპორტი ჩართულობა იმთავითვე აწესრიგებს ქვეყანას და ახალგაზრდების მოტივაციას ზრდის. ეს ახლანდელმა თბილისის მერმა კარგად იცის და მშვენიერი დროა იმისთვის, რომ გამოიყენოს თავისი უნიკალური პროფესიული ცოდნა და შესაძლებლობა ამ მიმართულებით. რატომ არ უნდა დაეხმაროს განათლების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობა, უფრო მეტად, ვიდრე სხვა უწყება? ძალიან კარგი თანამშრომლობა შეიძლება შედგეს მათ შორის და თბილისის მერმა რეალურად დაუჭიროს მხარი ახალგაზრდებისა და ბავშვების სპორტითა თუ ხელოვნებით დაინტერესებას.

დაბოლოს, დიდ იმედებს ვამყარებ სკოლებში სამოქალაქო განათლების კურსის შემოღებაზე, რომელიც სწორედ ამ ღირებულებებს გაამყარებს ახალგაზრდებში. სამწუხაროდ, სამოქალაქო განათლება ჯერ კიდევ სუსტია სკოლებში და არა მხოლოდ ბავშვებისთვისაა სუსტი, მასწავლებლებსაც, სამწუხაროდ, კანონის უზენაესობისა და საკანონმდებლო ნორმების შესახებ დაბალი ცნობიერება აქვთ. ვფიქრობ, ახლა კიდევ უფრო ნათელი გახდება ამ საგნის სკოლებში შეტანის აუცილებლობა. სამწუხაროდ, სახელმძღვანელოს შექმნა მომავლისთვის გააძლიერდა ამიტომაც, ერთი წლით გადაინია „მე და საზოგადოების“ სკოლებში შესწავლა. ყველა ასაკობრივი ჯგუფი უნდა მოიცავს ამ საგანმა, რაც, დარწმუნებული ვარ, შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

ესაუბრა ლალი ჯაღალაძე

კონკურსი

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მსოღნეთ კონკურსი

არამატრიალური მემკვიდრეობა საზოგადოების კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მოიცავს ზეპირსიტყვიერებას, ადათ-წესებს, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმებს, ცოდნასა და ჩვევებს, მათთან დაკავშირებულ კულტურულ სივრცეებს; ყველაფერს, რაც ტრადიციულ კულტურას უკავშირდება, თაობიდან თაობას ცოდნის სახით გადაეცემა და გაფორმდება და შენარჩუნდება, ხშირ შემთხვევაში კი დაცვასა და აღორძინებას საჭიროებს. ამ სფეროს წარმატებული დაცვისათვის კი უმნიშვნელოვანესია საზოგადოების აქტიური მონაწილეობა, ტრადიციების მოძიება, ფიქსაცია, დაცვა.

2015 წელს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნის ტრადიციას არამატრიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შოთა რუსთაველის უკუდავი პოემის უდიდეს სულიერ ღირებულებას და მნიშვნელობას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისათვის. სწორედ ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობის ხელშეწყობისა და გაგრძელებისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო აქტიურად ჩაერთო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურ, მოკრძალებულ კონკურსში, რომლის მიზანი პოემის ზეპირად მცოდნეთა მოძიება, ცოდნის პოპულარიზაცია და ტრადიციის შენარჩუნებაა.

2017 წლის 1-3 დეკემბერს, ახალციხეში, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კონკურსი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა კონკურსანტებმა.

კონკურსი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სამცხე-ჯავახეთი სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით უკვე მეორედ ჩატარდა, თუმცა წლებიდან კონკურსში ორგანიზატორებმა შეცვალეს ფორმატი და გართულბული ამოცანები დაუსახეს მონაწილეებს.

კონკურსი ორი კატეგორიის მონაწილეებზე იყო გათვლილი: 1. „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნენი - მათ, გარდა პოემის ზეპირად ცოდნისა, მოუთხოვებოდათ მათთვის სასურველ უცხო ენაზე პოემის, მინიმუმ, 10 სტროფის ცოდნა და ფიურის მიერ შეთავაზებულ თემაზე ესეს დანერა. გამარჯვებულს, სამივე კომპონენტის შედეგების მიხედვით გამოვლინდა;

2. საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების კონკურსი - მოსწავლეებს პოემის 500 სტროფი უნდა სცოდნოდათ ზეპირად და წარმოედგინათ ფიურის მიერ შეთა-

ვაზებული ფრაგმენტის ინსცენირება.

საკონკურსო ციებ-ციხლება 1 დეკემბრის დილიდან დაიწყო. ზრდასრულ კონკურსანტებს შორის იყვნენ ნაცნობი სახეები: ახალციხის მკვიდრი, მათემატიკის მასწავლებელი თემურაზ ხუციშვილი; გერმანიისტი, წარსულში პედაგოგი, ამჟამად კი პენსიონერი ქალბატონი - ანრო ცირეკიძე ტყიბულიდან, ქალბატონი ნათელა ლანჩავა, პენსიონერი, ასევე ტყიბულიდან, მანანა ნესუაშვილი - ინგლისური ენის სპეციალისტი გურჯაანიდან, თინათინ სიყმაშვილი - 5 შვილის დედა ლაგოდეხიდან, ზემფირა გუმბერიძე - ქუთაისიდან. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს ბატონმა მალაგა ბეჭუაშვილმა (დუშეთი) და მაია ელიკაშვილმა (თბილისი).

ნერთი დავალების შესრულების და უცხო ენაზე ნაკითხული სტროფების შემდეგ, კონკურსის მთავარი გამოწვევა იყო პოემის ზეპირი ცოდნის მართონში ჩაბმა.

2 დეკემბერს, დილის 11 საათიდან, ექვსი კონკურსანტი ტოლს არ უდებდა ერთმანეთს და ფიურის მიერ შეთავაზებული ერთი ფრაზიდან აგრძელებდა პოემის კითხვას. ჩვეულ მღელვარებას დროდადრო ემატებოდა ფიურის ნევრების შეკითხვები, ამა თუ იმ ფრაზის შინაარსის, განმარტების შესახებ. შეჯიბრი 8 საათი გაგრძელდა, საბოლოოდ 4 კონკურსანტი შემორჩა სცენას. მართლაც ძნელი იყო მათ შორის საუკეთესოს გამოჩენვა: „1966 წელს, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გადაწყვიტეს პოემის ზეპირად სწავლა. 6 თვეში ვისწავლე და რაიონის კონკურსშიც გავიმარჯვე. მას შემდეგ არაერთ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა, თუმცა კონკურსი მხოლოდ ეტაპია...“ ვეფხისტყაოსანი“ ჩემთვის სიცოცხლეა, როცა მშობა - მურია, როცა მწყურია - წყალია, როცა მცივა - სითბოა... ის მასულდგმულებს“ - ამბობს ქალბატონი ანრო ცირეკიძე. მართლაც მისი თვლით დანახული პოემა საოცრად გასაგებია, მარტივად აღსაქმელი ერთი დიდი ამბავია.

„მიმივე 90-იანებში, მე და ჩემი მეუღლე, სოფელში მამა-პაპისეულ სახლში ვადავსახლდით, რათა უკეთ ვაგვეტანა თავი და შეიღებსაც დაეხმარებოდით. სანთლის შუქზე, უსასრულოდ გრძელ საღამოებს დედ-მამის ბიბლიოთეკის წიგნების კითხვამ ვატარებდით, სწორედ იქ შემიყვარდა რუსთაველი, იქ ვიგემე მისი სიტკბობა, მისი სიღრმე“ - გვითხრა ქალბატონმა ნათელა ლანჩავამ. მისი პირველი მსმენელი მეუღლე იყო, რომელიც ახალციხეშიც ახლდა და, მთელი კონკურსის მანძილზე, ერთგულად ამხნევებდა.

ბატონი თემურაზ ხუციშვილი ახალციხის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია. საოცარია, მაგრამ თვალ-

შისაცემია სწორედ მათემატიკური, განსაკუთრებით ზუსტი მიდგომა პოემის სწავლისა თუ ნაკითხვის მიმართ. ბატონ თემურს საკუთარი მეთოდი აქვს შემუშავებული პოემის ადვილად დასასწავლად და სკოლაში, გაკვეთილების შემდეგ, ბავშვებს ამ მეთოდით ამეცადინებს. დარბაზში მისი გულმემატიკერები სწორედ მოსწავლეები იყვნენ.

მანანა ნესუაშვილი - ახალგაზრდა ქალბატონი - ცხოვრების ნებისმიერ სირთულეს შოთას დახმარებით უმკლავდება. „11 წლისამ დავინეე „ვეფხისტყაოსნის“ სწავლა, თავიდან ის ჩემთვის საინტერესო ზღაპარი იყო, ვიზრდებოდი და ყველა ასაკში განსხვავებულად ვხედავდი პოემის გმირებს, თანდათან ის ჩემს მეგზურად და მასწავლებლად გადაიქცა“.

თინათინ სიყმაშვილი 17 წლის ასაკში დაამთავრა „ვეფხისტყაოსნის“ დასწავლა და ახლა თავის ხუთ შვილს ასწავლის პოემის სიყვარულს. როგორც გაირკვა, ორმა მათგანმა ბოლომდე იცის პოემა, თუმცა ჯერ ვერ გაუბედავთ აუდიტორიის და, მით უფრო, ფიურის სამსჯავროზე წარდგენა.

ქალბატონი ზემფირა გუმბერიძე ღრმად მორწმუნე ქალბატონია, რომლის ცხოვრების მიზანი პოემაში რელიგიური ფასეულობების კვლევა და ცხოვრებაში გატარება გამხდარა.

საბოლოოდ, 2017 წლის გამარჯვებული კვლავაც ქალბატონი ანრო ცირეკიძე გახდა, მეორე ადგილზე მანანა ნესუაშვილი გავიდა, ხოლო მესამე ადგილზე ორი კონკურსანტი - თინათინ სიყმაშვილი და ნათელა ლანჩავა.

ვაჟა მაშალიშვილი - საქართველოში ერთადერთი მოსწავლეა, ვინც პოემის 500 სტროფი იცის ზეპირად. ვაჟა ზაღალაძის №2 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე და სკოლის სიამაყეა. ბარაქალა ვაჟას მშობლებსა და მასწავლებლებს.

ხალისიანი და სანახაობრივი გამოდგა მოსწავლეთა ტური. ერთმანეთს შეეჯიბრნენ: ნალენჯიხის სოფელ ჯვარის №2 და №4 სკოლების, სოფელ ლიის №1 საჯარო სკოლის, თბილისის კერძო სკოლა „მოვის“ მოსწავლეები. ცეკვაში და მხატვრულ კითხვებში გაცოცხლებულ სურათებში სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს.

დასრულდა წლებიდანელი კონკურსი. სიყვარული, ერთგულება, მეგობრობა მომავალი წლების თანამგზავრად წაიღეს მონაწილეებმა იმ იმედით, რომ გაისად უფრო უკეთ, უფრო საინტერესოდ წარმოადგენენ შოთა რუსთაველის უკუდავ პოემას, სახალხო იამაყებენ თავიანთი ცოდნით და გააგრძელებენ შესანიშნავ ტრადიციას.

მარინა თაძთაძიშვილი



ახალი ნიშნი

ოქუმის სკოლა - 166

ოქუმი - უძველესი სამურზაყანოს ცენტრი აფხაზეთში, საინტერესო და მრავალფეროვანი ისტორიული და კულტურული ფასეულობებით. ოქუმის საშუალო სკოლა კი - ერთ-ერთი უძველესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა აფხაზეთში. მას წლებულს 166 წელი შეუსრულდა. სწორედ ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა გიორგი კობახიძის წიგნი „ოქუმის კულტურისა და ისტორიის საკითხები“.

„ფიროზოვან ცის კიდეს მიბჯენია კავკასიონის მთაგრეხილი. ერთის შეხედვით ეს თითქოს თავდება აქ, კავკასიონს თითქოს საგანგებოდ წამოუნეწია თავისი გულ-მკერდი სამხრეთით, რომ უფრო შორს გადახედოს ზღვამდე გადაშლილ დაბლობს. აქ ორი მთა გამოეყოფა უსახელო გორაკებს. აღმოსავლეთით ამართულია მთა ოსირე, ჩრდილო-დასავლეთით - აყარმარა. მათ შორის ღრმა ნაპრალებია. ხეობის ორნოხებიდან სივრცისაკენ შეტყორცნილან სალი კლდეები. შორს კი - ხეობის ჩრდილოეთით, ცისა და მიწის შუაგულ დაკიდულა ყინულით შემოსილი მთა - ანარია. აქ იღებს სათავეს გალის რაიონში ყველაზე დიდი მდინარე ოქუმი. იგი გრავინით მოედინება ნაპრალებს შორის. ხოლო სადაც მდინარე ოქუმი გამოდის ვაკეზე, ათასწლოვანი კაკლის ხეების, მუხების, ალვის ხეების, მუშალას, აკაციის, ევკალიპტის, ნაძვის, ფიჭვის, მაგნოლიისა და სხვა ჯიშის დეკორაციულ მცენარეთა ჩრდილში, მრავალი კილომეტრის მანძილზე, გადაშლილია სოფელი ოქუმი“ (მაკარ ასვანუა, ვალერიან ზუზბაია. თბილისი. 1946).

დაახ. ბევრი ლამაზი სოფელია საქართველოში, ულამაზესი ბუნებითა და უმდიდრესი წარსულით, მაგრამ მგონია, რომ ოქუმი - ბუნების სიმდიდრით უზავდ დაჯილდოებული მხარე, ერთ დროს, „რუსეთისთვის მონად და ქვეშევრდომად გადაცემული მთავარ შერვაშიძის მიერ“, რაღაც განუყოფელი ხიზლითაა გამორჩეული, საინტერესო და მრავალფეროვანი უძველესი კულტურული მემკვიდრეობით; საოცრად ლამაზი სანახებოთა, ჩაის პლანტაციებითა და ციტრუსებით; ოდა-სახლებითა და ღვთისმშობლის, მშრომელის, გონიერის, განათლებული და სტუმართმოყვარე ადამიანებით. „თუ გინდათ ნახოთ ნამდვილი დოვლათიანი სოფელი, მიბრძნდით გალის რაიონის სოფელ ოქუმში“. - წერს კლიმენტი გოგიავა თავის წიგნში „ახალი ოქუმი“. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ოქუმის საშუალო სკოლაა. ოქუმში ხომ 1851 წელს, აფხაზეთში ერთადერთი, პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება - ქართული სკოლა გაიხსნა. აქ საქართველოს ეგზარხოსის მიერ გამოგზავნილმა უნიჭიერესმა, გონიერმა და განათლებულმა პიროვნებამ, ქართველმა მისიონერმა, დავით მაჭავარიანმა ჩაუყარა საფუძველი განათლების ტრადიციას, წიგნისა და ცოდნის სიყვარულს, ქართული გენის სიმტკიცეს. ოთხ ბოძზე დაყრდნობილი ისლის ფაცხის ნაცვლად, იმ ადგილას, სადაც „სოფლის ნახირი ისვენებდა“, დროთა განმავლობაში, აღიმართა ორსართულიანი სკოლა მუდამ მწვანეში ჩაფლული ულამაზესი ეზოთი. ის იყო მოსახლეობის ყველაზე საყვარელი ადგილი სოფელში. სკოლამ აღზარდა მრავალი ნიჭიერი, განათლებული, ჭკვიანი და ქველმოქმედი პიროვნება, ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი მშობლიურ სოფელს. „ამ ადამიანთა ნაკვალავის ნაშლა დროსაც არ ძალუძს.“

არც ისე ადვილია წარსული ლამაზი, საინტერესო ფერებში ხატო მამინ, როდესაც ანმყო არც ისე შთამბეჭდავია და, როგორც გოეთე ბრძანებს, „არ ჩანს ის უამი, რომელსაც ვეტრფი“. აფხაზეთი ოკუპირებულია. დღეს ჩემს ლამაზ სოფელში, სად „ისტორიამ გადიგრალა, და მინა ჩუმად ისინჯავს ტკივილს...“ (გიორგი ლეონიძე), ომის შემდგომ, თავის ოდა-ბადებში დაბრუნებული ქართული მოსახლეობა, რაღაც ძალის დახმარებით, ცდილობს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გადარჩენას. ეს რწმენაა, რწმენა

ნა ქართველთა და აფხაზთა მომავალი მშვიდობიანი თანაარსებობისა. როგორც მეუფე დანიელი ბრძანებს, „ჩვენი უძველესი ნათესაური სისხლი მიტევენას ითხოვს!!!.., ღმერთმა ინება ჩვენი ერთად ცხოვრება და მინიერები მის ნებას ვერ შევცვლით“. მართლაც, ქართული ნაკვალავის ნაშლა დროსაც არ ძალუძს.

ოქუმის ისტორიული და კულტურული ფასეულობები ძალიან ხშირად ხდებოდა ქართველი და უცხოელი მკვლევრების დაინტერესების, მსჯელობისა და შეფასების საგანი (დოუბუა დე მონპერე, არქანჯელო ლამბერტი, ქრისტეფორე კასტელი, შარდენი, ზურაბ ჭუმბურიძე, ივანე გეგია და მრავალი სხვა). ოქუმი ახალგაზრდა მკვლევრებისა და მეცნიერების დაინტერესების საგანიც გახდა - საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გიორგი კობახიძის წიგნის „ოქუმის კულტურისა და ისტორიის საკითხები“ პრეზენტაცია. დარბაზი ოქუმელებით იყო სავსე... ისინი აქ საოცარმა გაცნობამ შეკრიბა.

გიორგი ახალგაზრდა მეცნიერია. იკვლევს და აქვეყნებს სხვადასხვა კორესპონდენციებს, ნაშრომებს, მრავალი წიგნის ავტორია. მისი კვლევის სფერო მრავალმხრივია, მაგრამ განსაკუთრებით დაინტერესებულია აფხაზეთის ისტორიული და კულტურული ფასეულობებით, აინტერესებს საეკლესიო-არქიტექტურული ძეგლები და სინამდვილეები, რომელიც ცარიზმის რუსიფიკაციის პოლიტიკას უკავშირდება.

გიორგი კობახიძე: „წიგნში „ოქუმის კულტურისა და ისტორიის საკითხები“ მოცემულია ქართული და უცხოური დოკუმენტური ცნობები სამურზაყანოს ცენტრის, ოქუმის, შესახებ. ის, ძირითადად, მოიცავს ისტორიას მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე დღევანდელ დღემდე.“

წიგნის მიზანია, ოქუმის სკოლის ისტორიული მისიის და იქ მოღვაწე ადამიანების დაუღალავი შრომის წარმოჩენა აფხაზეთში ქართული ენის შენარჩუნების საქმეში. ასევე, ოქუმის რელიგიურ-არქეოლოგიური ძეგლების ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის აღწერა; განხილულ პერიოდში სოფლისა და მთლიანად ამ მხარის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების, ამ პროცესებთან დაკავშირებული ადამიანების ღვაწლისა და თავდადების ჩვენება. მიუხედავად ავბედითი პერიოდისა, რომელიც ცარიზმის რუსიფიკაციის პოლიტიკას უკავშირდება, ცხადად დასტურდება, რომ აფხაზეთის მკვიდრნი, ოქუმელები, ქართული ინტელიგენციის მხარდაჭერით, საკუთარი თაოსნობითა და ნიჭით, ზოგადად ქართული კულტურის უანგარო დამცველები იყვნენ იქ, სადაც ქართულ სიტყვას, კულტურასა და ეკლესიას ყველაზე მეტად უჭირდა.“

დავით ლაცუზბაია, წიგნის რედაქტორი: „უდიდესი საიმოვნებით დავთანხმდი ავტორს, ვინაიდან წიგნი მეტად ფასეულია და საგულისხმო. გარდა ამისა, ოქუმში ჩემი ფესვებია. იქ დავიბადე და გავიზარდე. წიგნში ქართული წყაროების გარდა, გამოყენებულია უცხოენოვანი ლიტერატურა, რომლებიც პირველად ითარგმნა და მათი სამეცნიერო მიმოქცევაში გაშვებაც ამ ნაშრომის საშუალებით განხორციელდება. ყველა თავს თან ახლავს რეზიუმე ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.“

ნონა შონია, გალის რესურსცენტრის უფროსი: „მევესალმები წიგნის გამოცემას. ავტორმა წარმოვიდგინა მნიშვნელოვანი წიგნი ოქუმის კულტურისა და ისტორიის საკითხებზე. აქ საუბარია სამურზაყანოში ერთ-ერთ უძველეს სკოლაზე, რომელსაც წლებულს 166 წელი შეუსრულდა. დღეს უჭირს ქართულ სკოლებს აფხაზეთში, განსაკუთრებით უჭირს ოქუმის საშუალო სკოლას, სადაც სულს ლაფავს ენა ქართული, მაგრამ მჯერა, რომ საქართველო კვლავ გამთლიანდება და აფხაზეთში კვლავ იზეიმებს ქართული სიტყვა.“

აკაკი შონია, ოქუმის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, პედაგოგი: „მამა - იასონ შონია, განათლებული და ავტორი-



გიორგი კობახიძე (ავტორი) და დავით ლაცუზბაია

ტეტიანი პედაგოგი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ოქუმის საშუალო სკოლას. ჩემი სკოლის სიყვარულით მეც იქ დავბრუნდი. ბევრი დაინერა ოქუმის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობაზე, იქ მოღვაწე თვალსაჩინო თუ რიგითი პიროვნებების დამსახურებაზე, მაგრამ... სულ სხვა გრძნობა გეუფლება, როდესაც თაობები ინტერესდებიან შენთვის დაკარგული და მიუხედავად კუთხით. ეს განცდაა საერთო ტკივილისა. სტკივა საქართველოს მისი მოგლეჯილი მკლავი - უდიდესი კულტურული მემკვიდრეობის მქონე აფხაზეთი და მისი ულამაზესი კუთხე - ოქუმი. ამ წიგნის ავტორს ისევე სტკივა აფხაზეთი, როგორც თითოეულ ჩვენგანს. დიდი მადლობა მას ასეთი თავდაზოგავი შრომისთვის.“

ნანი ბულისკერია, სოფელ ოქუმის მცხოვრები, სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებული: „ვამაყობ, რომ ოქუმელი ვარ და ის სკოლა დავამთავრე, სადაც ჩემი ოჯახის პედაგოგიური დინასტია ღირსეულად ემსახურა ახალი თაობის აღზრდის საქმეს. დროებით დავკარგეთ აფხაზეთი. მჯერა, რომ მას დავიბრუნებთ. ეს წიგნი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.“

სატია ლორთქიფანიძე: „მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ ოქუმი ჩემთვის ყველაფერია. მე ვიცი, რომ იქ ჩემი აფხაზეთია. მჯერა, რომ იქ ჩემი კუთხე მელოდება... მე მიყვარს სიმღერა, ხშირად მინვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობა. მინდა, რომ ოქუმმა ჩემით იამაყოს.“

თამუნა გოგობია: „საოცარმა გაცნობამ მომიყვანა აქ. წიგნი ალვიქვი, როგორც ჩვენთვის, ომისშემდგომ დაბადებული თაობებისათვის, მეტად საინტერესო და საჭირო. მე ხომ იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელსაც არ უნახავს, არ უცხოვრია აფხაზეთში, მაგრამ მშობლიური კუთხის სიყვარულს ღრმად გაუდგამს ჩვენში ფესვები. მე ჩემი კუთხის სიყვარულს გულით დავატარებ.“

დარბაზში, ოქუმელებთან ერთად, იმყოფებოდა ოქუმის სკოლის კურსდამთავრებული ჯემალ ქერდიყოშვილი, გამორჩეული ქველმოქმედებით, ნუსიერებით, გულისხმიერებითა და შრომისმოყვარეობით. ომის შემდგომ მან ბევრის გაკეთება შეძლო ოქუმელებისთვის. დიდი მადლობა მას.


დღე-სასწაული - ასე უწოდეს ოქუმელებმა ამ დღეს და ერთმანეთს დაემშვიდობნენ იმ რწმენით, რომ ისევ მოვა აფხაზეთი, ისევ ამწვანდება აფხაზეთი, ისევ შეიკრება აფხაზი და ქართველი. იქ ისევ იზეიმებს სიტყვა-ქართული, ხოლო „მარად ცოცხალი ეროვნული დიდება - სკოლა კვლავ დარჩება მათი სულიერი და ეროვნული ცნობიერების საზრდოდ.“



ოქუმის სკოლის მასწავლებლები: ირა კუპრავა, თამარ გობეჯიშვილი და ვანო ქვარაჩია.



ოქუმის სკოლა



ოქუმის სკოლა. სახსოვრო სივლა ვალერიან გობეჯიშვილი. Die Schule von Okumi. Gezeichnet von Stylija Gessler.



ოქუმის სკოლა. სახსოვრო სივლა ვალერიან გობეჯიშვილი. Die Kirche von Okumi. Gezeichnet von Stylija Gessler.

გამოსვლია

ინტერაქტიული სწავლება ბერმანულ ენაში

ინტერაქტიული სწავლება დიდი ხნის ფორმაა, რომლის მიმდინარეობისას ხორციელდება ინტერაქცია როგორც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს შორის.

ინტერაქტიული სწავლება გათვლილია ყოველი მოსწავლის სარგებელზე. ამ დროს აქცენტი კეთდება ისეთ ფორმებზე, სადაც მოსწავლე აქტიურად ერთვება სწავლის პროცესში. მასწავლებელი ისე გეგმავს გაკვეთილს, რომ არც ერთი მოსწავლე არ რჩება პასიური და ყურადღების მიღმა.

ეს ორმხრივი პროცესია, როცა მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში, პასუხობენ კითხვებს, თანამშრომლობენ ჯგუფური მუშაობის დროს, აქტიურად ერთვებიან დისკუსიაში, თავისუფლად გამოთქვამენ აზრს და ა.შ. ამრიგად, ინტერაქტიული სწავლების დროს მოსწავლეები და მასწავლებელი აქტიურად ურთიერთობენ. ინტერაქტიული სწავლების მთავარი პრინციპი და მიზანია, მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის ფორმირებაში.

როგორ დაგეგმეთ ინტერაქტიული გაკვეთილი? არსებობს გაკვეთილის დაგეგმვის მრავალი ფორმა. კარგი გაკვეთილი, როგორც წესი, იწყება წინარე ცოდნის გამოვლენით, გაკვეთილის მიზნების განხილვით, კითხვების დასმით, ახალი მასალის ახსნით, განმტკიცებით და ა.შ. მაგრამ თუ გამოიყენებთ ინტერაქტიულ მეთოდს, გაკვეთილის დაგეგმვას უფრო ნაკლები დრო დასჭირდება და კლასის მართვასაც სხვა ფეფქტი ექნება.

გაკვეთილი იწყება კლასის მონესრიგებით, შემდეგ - შესავალი და ახალი მასალის ახსნა. ამის შემდეგ კი, მოსწავლეები განიხილავენ ახალ მასალას. ეს შეიძლება იყოს როლური თამაში, ერთმანეთის ნამუშევრების შემოწმება და ა.შ.

როდის ხდება შეჯამება? მოგახსენებთ, როგორ ვახერხებ ამ მეთოდის გამოყენებას გერმანული ენის გაკვეთილზე. მე-8 კლასში ისწავლება თემა: *Über Vergangeneit sprechen*

Perfekt, რომელსაც ეთმობა 3-4 საათი.

ერთ საათს ვიყენებ იმისთვის, რომ მოსწავლეებს შევასწავლო სუსტი და ძლიერი ზმნების ძირითადი ფორმები, შევასწავლო დამხმარე ზმნების უღლებას. ავუსხნი, რა შემთხვევაში გამოიყენება „haben“ და „sein“, რომელი ზმნები არ ლეზულობს ge თავსართს და რატომ, როგორ გამოიყენება თავსართმოცილებადი ზმნები, სადა უნდა ჩაისვას დამხმარე ზმნა და სადა ძირითადი.

მეორე საათს დავუთმობ პრაქტიკულ სამუშაოს დაფაზე, ან ფორმატზე განვითავებ სქემას (წინასწარ გამზადებულია), როგორც „ფორმულას“. მოსწავლეებს ვურიგებ ფურცლებს, რომლებზეც წერია წინადადებები ახლანდელ დროში (Prasens) და შეეცდებიან, გადაიყვანონ წარსულში (Perfekt). შემდეგ დაფაზე დანერგენ წინადადებებს და ახსნიან, როგორ გაართვეს თავი მოცემულ დავალებას. ამის შემდეგ ვაძლევ მიკროტექსტს და შეეცდებიან, ამოიცნონ რომელი წინადადებაა Perfekt-ში. ასეთი სააზროვნო გაკვეთილი მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესო და სახალისოა, ვიდრე ჩვეულებრივი.

ამგვარ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შესავალს და შეჯამებას. შესავალი ნაწილი 5-დან 10 წუთამდე შეიძლება გაგრძელდეს. დაფაზე აუცილებლად უნდა დაინეროს მიზანი. არ არის აუცილებელი ბევრი მიზნის ჩამონერა, რადგან გაკვეთილი არ ნიშნავს ბევრი ინფორმაციის გადაცემას.

გაკვეთილი უნდა დაეყოს სამ 15-წუთიან მონაკვეთებად. მოსწავლეების ყურადღება, მაქსიმუმ, 15 წუთს გრძელდება, ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა კი ყურადღებას ახლიდან ამახვილებს. უკეთესია, თუ ვიზუალური, სმენითი და კინესთეტიკური აქტივობები შეცვლიან ერთმანეთს. შემდეგ მოდის სწავლების დრო, რასაც მოჰყვება მოსწავლეების მიერ ურთიერთსწავლება, ორივე რგოლი გაკვეთილის მოძრავი ნაწილია. ერთ-ერთი მათგანი შეიძლება გამოვტოვოთ, მაგრამ არ შეიძლება შეჯამების გამოყენება. შეჯამება უნდა მოხდეს

ყოველი მიზნის ბოლოს, სანამ შედეგზე გადავალთ. უნდა შევჯამოთ მიღწევები და ხაზი გავუსვათ მოსწავლეთა აქტიურობას, ისინი უნდა იყვნენ ყურადღების ცენტრში და თავი მნიშვნელოვან ფიგურებად იგრძნონ. შეჯამების შემდეგ შესაძლებელია, მოსწავლეებს რეფლექსიაც მოვთხოვოთ. ვკითხოთ, რა და როგორ ისწავლეს და რა დარჩა ბუნდოვანი. ასეთ გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობა ძალიან დიდია, მაგრამ თუ რომელიმე არღვევს ქცევის წესებს, უნდა მივუთითოთ, თუმცა, ამისათვის არ არის საჭირო გაკვეთილის შეწყვეტა, შენიშვნა რბილად და კორექტულად უნდა იყოს ნათქვამი. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, ყველა მოსწავლე ჩართოს საგაკვეთილო პროცესში. სასურველია, გაკვეთილის შესავალ ნაწილში გავაცნოთ მოსწავლეებს ქცევის წესები.

სწავლება მხოლოდ ცოდნის გადაცემა როდია, იგი აუცილებლად გულისხმობს ცოდნის „აღებას“, მასწავლებელმა გაკვეთილი უნდა დაიწყოს იმ სიახლით, რაც მოსწავლისთვის გაუგებარია. იმ გაკვეთილზე, სადაც ასახსნელი მასალა იმდენად რთულია, რომ ბავშვები დამოუკიდებლად ვერ იპოვიან პასუხს დასმულ პრობლემაზე, სასურველია, მასწავლებელმა აჩვენოს არა მზა პასუხი, არამედ მისი მოქმედების გზა. ინტერაქტიული სწავლებისას, სასურველია, წინასწარ მომზადდეს გაკვეთილის ამგვარი მოდელები და გამოყენებულ იქნეს მრავალფეროვანი რესურსები.

ჯულიეტა ჭიჭვილი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
ინტერაქტიული სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, რ. საყვარელიძე;
ინტერაქტიული სწავლება, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო. თბილისი 2004.

ქართული როგორც მეორე ენა

პირველი წარმატებული ნაბიჯები

რა უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, როდესაც სოფლის სკოლის სახელი დედაქალაქის და საქართველოს ძირძველი ქალაქების გამარჯვებულ სკოლებთან ერთად დასახელებულია!

8 დეკემბერი. 2017...

დღე მშვენიერი, დღე ბედნიერი, დღე ლამაზი დასაწყისით და დასასრულით!

ის, რომ ახალი სკოლის მასწავლებლების სტატუსით პირველად მიმყავდა მოსწავლეები დაჯილდოების ცერემონიაზე, ისეთივე ამაღლებელი იყო, როგორც ოთხი წლის წინ, ლახაბულის ბავშვები რომ ნავიყვანე „დიპეკოს“ დაჯილდოებაზე ზუგდიდში...

თითქმის იგივე მანძილია ხოჯორნიდან თბილისამდე... მღელვარებას არ ვუმხელ ბავშვებს, რომელთათვისაც ეს პირველი კონკურსია, თუმც მათ თვალეში უთქმელად ჩანს განცდა. ერთი მათგანი თბილისში პირველად მიდის...

საქართველოს სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციამ, სექტემბერში, რამდენიმე კონკურსი გამოაცხადა. ერთ-ერთი, სახელწოდებით - „მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი...“, ფაში ჩემია და ფამისა მე ვარ იმედი!“ - ბარათაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციასა და მოსწავლეთა ანალიზის, შეფასებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას ისახავდა მიზნად.

მეორე კონკურსი - არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთათვის, თემაზე: „ეს საქართველოა“, რომლის მიზანს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების ჩართულობისა და ინტეგრაციის გაზრდა წარმოადგენდა. კონკურსის პირობების თანახმად, მონაწილეებს საინფორმაციო ბუკლეტები უნდა წარმოედგინათ.

კონკურსის პირობები რომ გავაცანი, თავდაპირველად, დაიბნენ, რომ ვუთხარი, მეც დაგეგმარებით-მეთქი, ინტერნეტი მოძიებული ინფორმაცია მეორე დღესვე მომიტანეს. ბუკლეტი სვანეთზე მოვამზადე. კონკურსამდე მათ რუკაზე ვაჩვენე სვანეთის მდებარეობა, შემდეგ ვნახეთ ფილმები, ვიდეორგოლები, ვესაუბრებოდი ჩვენს ტრადიციებზე...

ზემოთ ხსენებული ორივე კონკურსის დაჯილდოება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. ასოციაციის წევრების გარდა, ღონისძიებას მონაწილე სტუმრებიც ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი კილაძე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბადათერ არაბული, ჟურნალისტი, პოეტი, მსახიობი, მწერალთა კავშირის წევრი სოფო დლონტი, ჟურნალისტი, პოეტი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თორნიკე ჭელიძე.

როგორც ასოციაციის დამფუძნებელმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, რუსა გონაშვილმა აღნიშნა, კონკურსში საქართველოს 20-მდე სკოლა ჩაერთო, რომელთაგან დაჯილდოვდნენ კონკურსის „მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი...“, ფაში ჩემია და ფამისა მე ვარ იმედი!“ გამარჯვებულებები:

• პირველი ადგილი - თბილისის მე-10 საჯარო სკოლა: თამუნა მინდიაშვილი, ვერიკო ტატიშვილი, მასწავლებელი - შორენა ბერედიძე; მე-10 საჯარო სკოლა: ნანა გაფრინდშვილი, საბა ზუციშვილი, ნათია ვაბინაშვილი, თათია ტაბატაძე, საბა ბარბაქაძე, მასწავლებელი - ნათია ჩაჩანიძე;



• მე-2 ადგილი - 154 -ე საჯარო სკოლა: ლაშა გელაშვილი, ლილე წულუკიძე, სერგო ჯიქია, ბარბარე შარაშენიძე, სანდრო იაშვილი, მასწავლებელი - ეკატერინე შარაშენიძე;
• მე-3 ადგილი - სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის მე-10 კლასი: ნუცა პაპიაშვილი, ვახტანგ გოგინაშვილი, ნათია ლურსმანაშვილი, ლიკა ქველიძე, ლედი მამიჯანაშვილი, მასწავლებელი - მანანა მეყანაშვილი;
რუსთავის 23-ე საჯარო სკოლა: გვანცა გამყრელიძე, ეკატერინე ნანავა, თამარ თავბერიძე, ნათია თავაძე, მასწავლებელი - ლევა კვარაცხელია;
ქალაქ განის №2 საჯარო სკოლის XI კლასი: ქრისტინე გოგორიშვილი, გიორგი მჭავია, ლაშა სოხანაშვილი, ქეთევან ბადავაძე, ნიკა კორძაძე, მასწავლებელი - ქეთევან ძაგნიძე;
ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის №2 საჯარო სკოლა: შოთა აბულაძე, თა-

მარ ფანცულაია, ანა ღვამბერია, მასწავლებელი - სოფო დლონტი.

კონკურსში „ეს საქართველოა“ ორი გამარჯვებული გამოვლინდა:

• დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზემო ოროზმანის საჯარო სკოლა: აიგუნ გასანოვა, აისუ რამაზანოვა, მასწავლებელი - ქეთევან შანიძე;

• სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნის საჯარო სკოლა: მარტინა ვერმიშაიანი, ლუსინე არზუმანიანი, ნელი მატოსიანი, ეთერა ავეტისიანი. მასწავლებელი - ლალი მარგიაანი.

გამარჯვებულ სკოლებს გადაეცათ ნიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსას“ 100, 50 და 30-ლარიანი ვაუჩერები, მოსწავლეებს და მასწავლებლებს - სიგელები და ფასიანი საჩუქრები ასოციაციისგან.

რა უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, როდესაც სოფლის სკოლის სახელი დედაქალაქის და საქართველოს ძირძველი ქალაქების გამარჯვებულ სკოლებთან ერთად დასახელებულია! ფფქობით, პირველი წარმატებული ნაბიჯი ასპარეზზე გამოსასვლელად უკვე გადადგმულია.

მსგავსი კონკურსები და არა მარტო კონკურსები მნიშვნელოვანია არაქართველი მოსწავლეებისთვის. ხოჯორნის სკოლის სახელით, მაღლობა მინდა გადავუხადო საქართველოს სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციას, რომ საშუალება მოგვცა, ჩვენი არაქართველი მოსწავლეები საქართველოსთვის გაგვეცნო. მათთვის ეს დღე მნიშვნელოვანი და დაუფიქრებელი იქნება!

ლალი მარგიაანი
სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოჯორნის საჯარო სკოლა



სამოღალო გაკვეთილი

ელექტროლიტი თუ არა ელექტროლიტი

გაკვეთილის მსვლელობისას, გამჭოლი კომპეტენციების და-საუფლებლად, საგანთაშორისი კავშირების დამყარებაა სა-ჭირო. ვეცადე, ხელი შემეწყო მოსწავლეებისთვის, რომ ფიზი-კაში შექმნილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარ-სობრივ კონტექსტში გადაეტანათ, გამოეყენებინათ ქიმიკაში ან პირიქით. გაკვეთილის აქტივობები მიმართულია სემიოტი-კური კომპეტენციების განვითარებაზე. ვერბალური და არა-ვერბალური (დიაგრამის, სქემის, ნახატის, სიმულაციების) საშუალებით გადმოცემული ინფორმაცია უნდა იყოს გააზ-რებული და ინტერპრეტირებული მოსწავლეების მიერ, რი-თაც განუვითარდებათ საკუთარი ნაზრებისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარი.



კლასი: X^ბ
გაკვეთილის თემა: „ელექტროლიტები და არაელექტროლი-ტები“

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით:
ქიმ.X.9. მოსწავლეს შეუძლია ხსნარების თვისებების ახსნა ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის საფუძველზე. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:


- განასხვავებს ელექტროლიტებს და არაელექტროლიტებს პრაქტიკული ცდისა და თეორიული ცოდნის საფუძველზე;
• ახასიათებს მჟავებს, ტუტეებს და მარილებს დისოციაცი-ის სქემებს.

ფიზ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ელექტრული მოვლენების კვლევა. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ელექტრული დენის თავისებურებებზე ლითონ-ში, სითხეში, აირში;
• ახასიათებს ელექტროლიზის მოვლენას და აანალიზებს ფა-რაადის კანონებს;
1.7 ორი სახის დიელექტრიკი; 2.17 ელექტრული დენი სითხეებში. თემის შესწავლის დროს განიხილება შემდეგი ეტაპები:



- 1. სურათის განხილვა – დენტან მოქცევის უსაფრთხოების წესები. დახედეთ სურათს და გამოთქვით ვარაუდი, რატომ არ შეიძლება სველი ხელებით ჩამოთველთან მიკარება? რა-ტომ არის დაცული ადამიანი, ელვის დროს, გამობდილ წყალ-ში? რატომ არის საშიში სველი ფეხების მქონე ადამიანისათ-ვის დენტან მიკარება?
2. ქიმიის განვითარების ისტორიული მიმოხილვა. მოსწავლე-ებს ვაცნობებ, რომ მაიკლ ფარადეი (22.IX.1791-25.VIII.1867) იყო ინგლისელი ფიზიკო-ქიმიკოსი. მან IX საუკუნის პირველ ნახევარში შემოიტანა ცნება ელექტროლიტების და არაელექ-ტროლიტების შესახებ.
შემომავლეს ცნებები: ელექტროლიტი – ნივთიერება, რომლის წყალხსნარი ან ნალღობი ელექტრულ დენს ატარებს; არაე-ლექტროლიტი – ნივთიერება, რომლის წყალხსნარი ან ნალ-ღობი ელექტრულ დენს არ ატარებს.
3. მოსწავლის დახმარებით ვატარებ პრაქტიკულ ცდას: წრედ-ში შეერთებულია დენის წყარო, ნათურა, ორი ელექტროდი, რომლებსაც ვათავსებთ სხვადასხვა ხსნარში ან ნივთიერება-ში. ცდას ვატარებთ იმისათვის, რომ დავადგინოთ, რა ატა-რებს დენს. ამავე დროს, საპროექტო დაფაზე ვაშუქებ იმავე ცდების სიმულაციას PHET სიმულაციების გამოყენებით „Sugar and Salt Solutions“.jar. შესასწავლი ნივთიერებები:




- a. მშრალი მარილი,
b. გამობდილი წყალი,
c. შაქარი,
d. მარილის წყალხსნარი,
e. შაქრიანი წყალი,
f. სპირტის ხსნარი,
4. წინაურ ცოდნის ინტეგრირება.


მოსწავლეებს ფიზიკის კურსში აქვთ ნასწავლი ორი სახის დი-ელექტრიკი: არაპოლარული და პოლარული. ცოდნის ინტეგ-რირებისათვის კლასს ვეკითხები, რა ახსოვთ დიელექტრიკე-ბის შესახებ.

ისეთი ატომებისა და მოლეკულებისაგან შედგენილ დიელექ-ტრიკს, რომელშიც დადებითი და უარყოფითი მუხტების გა-ნაწილების ცენტრები ერთმანეთს ემთხვევა, არაპოლარული დიელექტრიკი ეწოდება. ეს არის: ინერტული აირები, წყალბა-დი, უანგბადი, პოლიპროპილენი და სხვ.

ისეთი მოლეკულებიდან შემდგარ დიელექტრიკს, რომელშიც დადებითი და უარყოფითი მუხტების განაწილებათა ცენტრები ერთმანეთს არ ემთხვევა, პოლარული დიელექტრიკი ეწოდება.



5. ვიდეო – რა ხდება ელექტროლიტის წყალში გახსნისას 1 წუთში. ვიდეოში ნაჩვენებია სუფრის მარილის კრისტალის წყალში გახსნის პროცესი. წყლის მოლეკულები, ნატრიუმის ქლორიდის კრისტალის მიმართ, ორიენტირებულია ისე, რომ დადებითი პოლუსით მიიზიდავს ქლორის იონებს, უარყოფი-თი პოლუსით კი – ნატრიუმის იონს. ამის გამო, კრისტალში იონებს შორის არსებული მიზიდვის ძალები თანდათან სუსტ-დება. კრისტალი თანდათან ირღვევა და, წყლის დიპოლებით გარემოცული, ნატრიუმისა და ქლორის იონები ხსნარში გა-დადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ნატრიუმის ქლორიდი იონე-ბად იშლება.



- 6. ანიმაციის საფუძველზე, განვიხილავთ: თუ წყალში გახსნი-ლია ელექტროლიტი, ანუ ნივთიერება, რომელიც იხსნება და იყოფა, დამუხტულ ნაწილაკებზე ის დენს გაატარებს. დადე-ბითად დამუხტული იონები მოძრაობას იწყებენ უარყოფი-თად დამუხტული ელექტროდებისკენ – კათოდისკენ, ამიტომ მათ კატიონები ეწოდებათ. უარყოფითად დამუხტული იონე-ბი მოძრაობას იწყებენ დადებითად დამუხტული ელექტრო-დისკენ – ანოდისკენ, ამიტომ მათ ანიონები ეწოდებათ.
7. ანიმაციის საფუძველზე, განვიხილავთ: თუ გვაქვს არაე-ლექტროლიტის წყალხსნარი, არ არსებობს დამუხტული ნა-წილაკები, რომლებსაც დენის გატარების დროს ექნებოდათ კათოდებისკენ მოძრაობის უნარი, ამიტომ არაელექტროლი-ტი დენს არ ატარებს.
8. დაისმება სააზროვნო კითხვა: გაიხსენეთ დემონსტრირე-ბული ვიდეო, სიმულაციები, ცდა, სქემები და ჩამოაყალიბეთ, რა სახის ბმა უნდა ჰქონდეს ელექტროლიტებს და რა ტიპის ნაერთი იქნება ელექტროლიტი?
9. დაისმება სააზროვნო კითხვა: გაიხსენეთ დემონსტრირე-ბული ვიდეო, სიმულაციები, ცდა, სქემები და ჩამოაყალიბეთ რა სახის ბმა უნდა ჰქონდეს არაელექტროლიტებს და რა ტი-პის ნაერთი იქნება არაელექტროლიტი?
10. შეასრულეთ დავალება №1, სახელმძღვანელოს გვ.102
11. ქიმიის განვითარების ისტორიიდან მოყვანილი იქნება მო-ნაცემები. სვანტე ავგუსტ არენიუსი (1859-1927წ.), შვედი ფიზიკო-ქიმიკოსი, რომელმაც ჩამოაყალიბა ელექტროლი-ტური დისოციაციის თეორია (1887წ.). მხოლოდ 1903 წელს მი-ანიჭეს ნობელის პრემია.

ელექტროლიტების იონებად დაშლას წყალში გახსნისას ან გაღობისას ელექტროლიტური დისოციაცია ეწოდება.

- 12. ანიმაცია – წყლის დიპოლები, წყალი კარგი გამხსნელია.
13. ანიმაცია – იონური ბმის მქონე ნაერთების ელექტროლი-ტური დისოციაცია.
14. ანიმაცია – კოვალენტური ბმის მქონე ნაერთის ელექტ-როლიტიკური დისოციაცია.
15. სემიოტიკური დავალება – აანვეთ მარილის კრისტალის წყალში გახსნის 2D სქემა.
16. ინტერაქტიული ტესტი – შეამოწმე შენი ცოდნა. ჩამოთვ-ლილი ნაერთებიდან ამოარჩიე ელექტროლიტი ან არაელექტ-როლიტი.
17. ცოდნის გამყარება: აღწერეთ სურათზე გამოსახული პროცესები.



- 18. საშინაო ცდები – რა არის უფრო კარგი გამხსნელი: წყალი თუ სპირტი?
19. გამოიკვლიეთ: ყველა მარილი იხსნება წყალში? თვითშეფასება შეფასების ჯგუფის უკუკავშირი.

მარინა ისაკაძე
ქუთაისის №33 საჯარო სკოლის დირექტორი, ქიმიის მენტორი მასწავლებელი



ახალი ახვაზი

„მე ომბუდსმენი 2017“



საქართველოს სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა და ევროკავშირის ელჩმა, იანოშ პარმანმა კონკურსის „მე ომბუდსმენი 2017“ გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვეს.

კონკურსი მერვედ გაიმართა. თამაში 2 ოქტომბერს დაიწყო და რეგისტრაცია 434 გუნდმა – 868 მოსწავლემ გაიარა. პირველი და მეორე ტურის გავლის შემდეგ, მესამე საფინალო რაუნდში მხოლოდ 12 გუნდი და, შესაბამისად, 24 მოსწავლე გადავიდა. ფინალური რაუნდის ნაშრომები 3 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა.

კონკურსში „მე ომბუდსმენი 2017“ პირველი ადგილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელმა მოსწავლეებმა – ანი თუ-

თისანმა და მარიამ ჩხარტიშვილმა დაიკავეს (გუნდი „ვიქტორია“), მეორე ადგილზე გავიდნენ ფოთის №11 სკოლის მოსწავლეები – ლეო შელია და გურამ მეგრელიშვილი (გუნდი დ.მ.ს.მ.), ხოლო მესამე ადგილი თბილისის №149 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – შორენა ჯანჯღავამ და სოფიკო კობლიშვილმა (გუნდი „დომინანტი“) დაიკავეს. მათ საჩუქრად ლეპტოპები და პლანშეტური კომპიუტერები გადაეცათ. ფინალში მონაწილე მოსწავლეებმა, სამახსოვროდ, სერტიფიკატები და საქართველოს ისტორიის ოთხტომეული მიიღეს.

დაჯილდოების ცერემონილის შემდეგ, გავესაუბრეთ ერთ-ერთ გამარჯვებულს. აი, რა გვიამბო ანი თუთისანმა: „მიყვარს ლიტერატურა და ფილმები. ვცდილობ, აქტიური ახალგაზრდა ვიყო. ძალიან მაინტერესებს სამართლის სფერო და, დიდი ალბათობით, პროფესიასაც ამ მიმართულებით ავირჩევ. აქამდე ბევრ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა, რომლებიც სამოქალაქო განათლებას და სამართლის სფეროს ეხებოდა, თუმცა, „მე ომბუდსმენი“ ერთ-ერთი გამორჩეულია. გამარჯვება მოულოდნელი იყო და ძალიან მიხარია.“

ანი იუსტიციის სახლშია დასაქმებული, არის „მწვანე თაობის“ კლუბის პრეზიდენტი, ახალგაზრდა პარლამენტარია, ასევე, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის წევრი.

„მე ომბუდსმენი“ სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებული კონკურსია, 13-18 წლის მოსწავლეებისთვის. ომბუდსმენი მოქმედებს, როგორც შუამავალი მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის. ზოგიერთ ქვეყანაში ომბუდსმენს სახალხო დამცველს უწოდებენ. საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი კონსტიტუციური ინსტიტუტია, რომელიც ზედამხედველობს ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა ხელყოფის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

რეზა თოფურია



ავთანდილ კოკაიას სახელობის ტურნირი დასრულდა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოენოვანი სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, თსუ სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, **ზაურ ფხალაძის** და ამავე ცენტრის თანამშრომლის, უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ტურნირების მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, **ვახტანგ ბაქანიძის** ორგანიზებით, სამედიცინო უნივერსიტეტში არაერთი სპორტული ტურნირი იმართება.

დიდი იყო სტუდენტთა ინტერესი მინი-საფეხბურთო ტურნირისადმი, რომელიც ა.ნ. ოქტომბრის ბოლოს თსუ-ში მიმდინარეობდა. ტურნირი მიეძღვნა საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს, საქართველოს სპორტის დამ-

სახურებულ მოღვაწეს, ბატონ ავთანდილ კოკაიას. მასში მონაწილეობა მიიღო თსუ-ს უცხოელი სტუდენტებით დაკომპლექტებულმა 12 გუნდმა. გუნდები 2 ქვეჯგუფად დაიყო.

ჯგუფებიდან ორ-ორი, პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები, შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ ნახევარფინალში – ნიგერიის პირველი გუნდი და ერაყის ნაკრები გუნდი. მატჩი ერაყელების გამარჯვებით დასრულდა 3:2; მეორე ნახევარფინალურ მატჩში მონაწილეობდნენ ნიგერიის მეორე და თურქეთის ნაკრები გუნდები. მატჩი ნიგერიელების გამარჯვებით დასრულდა. III ადგილი ნიგერიის პირველმა გუნდმა მოიპოვა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ერაყის და ნიგერიის ნაკრები გუნდები. თამაში საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დასრულდა

– 2:2. დაინიშნა პენალტების სერია და 5:4 გაიმარჯვა ნიგერიის ნაკრებმა. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თასი და სიგელები.

ავთანდილ კოკაიას სახელობის ტურნირის მონაწილე ნიგერიის ნაკრებმა და შოთა იამანიძის, მიხეილ მესხის და სლავა მეტრეველის სახელობის ტურნირის გამარჯვებულმა ქართველ სტუდენტთა ნაკრებმა გუნდებმა, ერთმანეთს შორის, სუპერფინალი გაითამაშეს. თამაში მართლაც საინტერესო გამოდგა. გამოვლინდნენ კომბინაციებით, აზროვნებით გამორჩეული ნიჭიერი ფეხბურთელები. ძირითადი და დამატებითი დრო აქაც 2:2 დამთავრდა. პენალტების სერიაში 7:6 იმარჯვა ნიგერიის გუნდმა. დასახელდნენ გამორჩეული ფეხბურთელები: ნიგერიელი **კლიფ-ნჯაპ ვერეოვაჯი** და ქართველი **სოსო გიოშვილი**.



სამოქალაქო გაკვეთილი

საკოორდინატო ბაღი და გარემოში ორიენტირება

როგორც ვიცით, სამოქალაქო გაკვეთილი შეიძლება იყოს ოთხი ტიპის: ინტეგრირებული, პრობლემაზე ორიენტირებული, გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული და ინოვაციური.

მინდა თქვენე ყურადღება შევაჩერო სამოქალაქო ინტეგრირებულ გაკვეთილზე. ინტეგრირებული გაკვეთილი არ წარმოადგენს სიახლეს, გაკვეთილის ამ ტიპს მასწავლებლები საკმაოდ ხშირად და ეფექტიანად იყენებენ. სასწავლო პროცესში ინტეგრაცია სხვადასხვა საგანში შესასწავლი თემების ერთმანეთთან ორგანულ დაკავშირებას გულისხმობს. ინტეგრირებული გაკვეთილი ერთი და იმავე, მონათესავე ან გამჭოლი თემატიკის ირგვლივ გაერთიანებული ორი ან რამდენიმე სასწავლო საგნის მიხედვით დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილია. სასურველია, მასწავლებლებმა ხშირად გამოიყენონ ინტეგრაცია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ერთი თემის/საგნის მეორესთან დაკავშირება ისწავლონ. ეს ხელს უწყობს ცოდნის გამთლიანებას, ასევე, შექმნილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას, რასაც საგანმანათლებლო ლიტერატურაში "ტრანსფერს" უწოდებენ. დიმიტრი უზნაძის აზრით, აზროვნებას ახასიათებს გადატანის უნარი. მას შემდეგ, რაც მოსწავლე ერთხელ გადაჭრის ამოცანას, მას უკვე აღარ უჭირს ანალოგიური ამოცანების გადაჭრა სხვა სიტუაციებში.

ტრანსფერი არ ხდება თავისთავად. ამისათვის საჭიროა სწავლების სპეციალურად დაგეგმვა. ინტეგრირებული გაკვეთილის იდეა შესასწავლი თემიდან გამომდინარე უნდა შეირჩეს, უნდა იკვეთებოდეს მისი მჭიდრო კავშირი სხვა დისციპლინასთან/დისციპლინებთან, რომელთანაც/რომლებთანაც მასწავლებელი შესასწავლი თემის დაკავშირებას გადამწყვეტს. არჩეულ თემს უნდა ჰქონდეს ყველა ინტეგრირებულ საგანთან შეხების ნერტილი, ინტეგრირება იყოს ლოგიკური და ბუნებრივი. გაკვეთილის იდეის/თემის ჩამოყალიბების შემდეგ მასწავლებელი შეისწავლის შესაბამისი საგნების სახელმძღვანელოებში ასახულ მასალას, მოიძიებს დამატებით ინფორმაციას და რესურსებს. გაკვეთილის გეგმის დახვეწის მიზნით, მასწავლებელმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს იმ საგნების მასწავლებლებთან, რომელთა ინტეგრირებაც აქვს განზრახული, გააცნოს მათ გაკვეთილის გეგმის მონახაზი, მოისმინოს და გაითვალისწინოს მათი რეკომენდაციები.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, ამ სასწავლო წლის დასაწყისში, დაგეგმე ინტეგრირებული გაკვეთილი მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში, რომელიც ჩავატარებ ბარეთის საჯარო სკოლაში. გაკვეთილის თემა იყო „საკოორდინატო ბაღი და გარემოში ორიენტირება“. თემის შერჩევა გადამწყვეტია იმ გარემოებამ, რომ მოსწავლეებს ხშირად უჭირთ სხვადასხვა გარემოში ორიენტირება, მიმართულებების აღქმა, ნასწავლი მასალის დაკავშირება სხვა საგანთან და ამ მასალის გამოყენება საჭიროებისამებრ.

გაკვეთილზე გამოვიყენე ჩემ მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის რესურსი, მთლიანი გაკვეთილი კი, მიმდინარეობდა წინასწარ PowerPoint-ის საშუალებით მომზადებული პრეზენტაციით. გაკვეთილის მსვლელობა თითქმის მთლიანად ემთხვეოდა ქვემოთ მოცემულ გაკვეთილის გეგმას. გაკვეთილის დასკვნით ფაზაზე ვცადე, ბავშვები გამეყვანა მაღალ სააზროვნო უნარებზე და ვთხოვე, ემსჯელათ გაკვეთილის დასაწყისში შეთავაზებულ აქტივობაზე. დავსვი კითხვა სლaidის თანხლებით: – იმსჯელეთ, ხომ არ შეიძლება სახლის რესურსი, უფრო მარტივად აეხსნა ბაბუას ნინოსთვის განძის მდებარეობა? რა ცოდნა/უნარები უნდა ჰქონოდა ბაბუას, რომ უფრო მარტივად აეხსნა განძის მდებარეობა? ამ აქტივობით მოსწავლეებმა გაიაზრეს, თუ რატომ სჭირდებათ პორიზონტის მხარეების ცოდნა და როგორ შეიძლება გამოიყენონ ეს ცოდნა ყოფა-ცხოვრებაში.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ინდივიდუალურად შევავსებინე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფურცლები, ამასთან შევეცადე, ეს შეფასების ფორმაც თემის შესაბამისი ყოფილიყო (საკოორდინატო ბაღი). საშინაო დავალებისათვის დავურთე წინასწარ მომზადებული სამეფო სასახლის გეგმა (ნახაზი) და ტექსტი, სადაც განმარტებული იყო ოთახების მდებარეობა, მათ უნდა გამოეცნოთ ეს ოთახები და სიმბოლოურად ჩახეხათ შიგნით საგნები (მაგ. ნიგნები, ტელევიზორი, მაგიდა და ა.შ.). ეს დავალება სახლის შესასრულებელია, შედეგად კი მოსწავლეებს ეცოდინებათ პორიზონტის ძირითადი მხარეები, შეეძლებათ პორიზონტის მხარეების ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. დავალებას შევუფასებ კრიტიკიუმით – რამდენად აკურატულად შეასრულა მოსწავლემ ის, რამდენად სუფთად და ზუსტად არის დატანილი სიმბოლოები, არის თუ არა შეცდომები. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გაკვეთილზე განხორციელებული მარტივი აქტივობები ჩვენი მოსწავლეების მიმართულებების უკეთ აღქმას ეხმარება. ამისთვის კარგია სწორედ მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება, რაც სახალისოს გახდის სწავლებას და მოსწავლეს მხარეების ცოდნას გაუმყარებს. ეს ცოდნა არ არის მხოლოდ იმისთვის, რომ გაკვეთილზე კარგი შეფასება მიიღონ. ეს უნარები მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ.

ბთავაზოგთ ამ გაკვეთილის გეგმას დანართი 1-ით.

მასწავლებლის სახელი, გვარი: ნანა დევდარიანი

საგანი/საგნები: მათემატიკა, ბუნებისმეტყველება

სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი/V კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა: 4 (მათ შორის არ არის სსმპ)

გაკვეთილის თემა: საკოორდინატო ბაღი და გარემოში ორიენტირება

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებს განუვითარდეთ სივრცული აზროვნება; ისწავლონ ერთი საგნის/თემის (საკოორდინატო ბაღი – მათემატიკა) დაკავშირება მეორე სასწავლო საგანთან/თემასთან (ბუნებისმეტყველება – გარემოში ორიენტირება, პორიზონტის მხარეები), რაც ხელს შეუწყობს ცოდნის გამთლიანებას, შექმნილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას – ტრანსფერს. მოსწავლემ უნდა შეძლოს: საკოორდინატო ბაღზე გამოსახული საგნების/ობიექტების კოორდინატების დასახელება; მოცემული კოორდინატებით საგნების/ობიექტების დასახელება; პორიზონტის მხარეების მიხედვით საგნის პოვნა; მოცემული სიდიდეების ჩასმა ცხრილში; არგუმენტირებული მსჯელობა სასურველი მარშრუტის უპირატესობაზე.

მათ.V.10. მოსწავლეს შეუძლია ორიენტირება ბაღით დაფარულ არეზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

კოორდინატების (სიმბოლოთა წყვილის) გამოყენებით აღწერს მდებარეობას და იყენებს ამ ხერხს რეალურ ვითარებაში (მაგალითად, კინოთეატრი, რუკაზე ობიექტის მოძებნა);

გადაადგინდება უჯრიან ფურცელზე ინსტრუქციების მიხედვით და აღწერს, როგორ მი-აღწევს მოცემული უჯრიდან სხვა უჯრამდე (მაგალითად, ორი უჯრა მარცხნივ, შემდეგ ერთი უჯრა ზევით);

აღწერს რუკაზე ორი ან მეტი პუნქტის ურთიერთმდებარეობას ოთხი მიმართულების გამოყენებით (მაგალითად, ჩრდილოეთით, დასავლეთით).

ბუნ.V.7. მოსწავლეს შეუძლია ობიექტების მდებარეობისა და ურთიერთმიმართების განსაზღვრა რუკაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

განსაზღვრავს პორიზონტის მხარეებს (ძირითადი და შუალედური) რუკასა და გეგმაზე; ადგენს მისთვის ცნობილი გეოგრაფიული ობიექტების ურთიერთმიმართებას (მაგ. მისი სოფელი, რაიონი და სხვ.).

ბუნ.V.8. მოსწავლეს შეუძლია გარემოში ორიენტირებისთვის გეოგრაფიული ინსტრუმენტების/ხელსაწყოების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ორიენტირებს გარემოში რუკის, გეგმის საშუალებით; ამოიცნობს ობიექტებს რუკაზე/ადგილის გეგმაზე, ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზ.- ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	გაკვეთილის მიზნისა და შეფასების ფორმის/კრიტერიუმების გაცნობა – პროექტორით ვაჩვენებ სლაიდზე გაკვეთილის მიზანსა და შეფასებისა და თვით-შეფასების ფორმებს. გავაცნობ შეფასების რუბრიკას, რომელიც გაკრულია ოთახში თვალსაჩინო ადგილას.	ვიდეომეთოდი	მთელ კლასთან	შეფასების კრიტერიუმები (დანართი 1), შეფასების ფურცლები (დანართი 2) პროექტორი, კომპიუტერი, სლაიდები	35თ
2	„დავეხმართ ნინოს განძის მოძებნაში“ – სლაიდზე ვაჩვენებ ტექსტს – ნინოს მიერ ნაპოვნ ნეროლს განძის მდებარეობის შესახებ და ბალის მოდელს; დაფაზე გავაკრავ ასევე პლაკატს – ბალის მოდელი საკოორდინატო ბაღით; მოსწავლეებს დაურთებ ამობეჭდილ ტექსტს და მათ უნდა იპოვონ განძი პორიზონტის მხარეების მიხედვით. დავალების დასრულების შემდეგ სლაიდზეც გამოჩნდება სწორი პასუხი.	ვიდეომეთოდი, დემონსტრირება და ილუსტრაცია	მთელ კლასთან	პლაკატი – ეზოს მოდელი (დანართი 3), ნერილი ნინოს (დანართი 4-4 ცალი), პროექტორი, კომპიუტერი, სლაიდები	55თ
3	გავლილი მასალის/საწყისი ცოდნის გახსენება – სლაიდზე ვაჩვენებ კინოთეატრის დარბაზს და ერთ-ერთ სკამზე დადებულ ყუთს. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ყუთის მდებარეობა და კოორდინატები. დავალების დასრულების შემდეგ სლაიდზეც გამოჩნდება სწორი პასუხები.	ვიდეომეთოდი, დემონსტრირება და ილუსტრაცია	მთელ კლასთან	სლაიდები, პროექტორი, კომპიუტერი	55თ
4	დასახელები კოორდინატები და საგნების ურთიერთმდებარეობა პლაკატზე – დაფაზე ვაკრულ პლაკატზე მოსწავლეები ასახელებენ ობიექტების კოორდინატებს, ინერენ ცხრილებში, ასახელებენ მათ ურთიერთმდებარეობას პორიზონტის მხარეების დახმარებით.	დემონსტრირება და ილუსტრაცია	მთელ კლასთან და წყვილებში	პლაკატი – სოფელი საკოორდინატო ბაღით (დანართი 5), ცხრილები (დანართი 6)	65თ
5	შეუსაბამეთ რუკაზე მონიშნულ ადგილს შესაბამისი კოორდინატი – სლაიდზე ვაჩვენებ ნალკისა და ბარეთის რუკას საკოორდინატო ბაღით, სადაც აღნიშნულია ოთხი ნერტილი. ბავშვებმა უნდა დაასახელონ მათი კოორდინატები, ჩაწერონ შესაბამისი ცხრილში და ეს კოორდინატები დაფაზე შესაბამის ადგილას მიაკრან. შემდეგ სლაიდზეც ვაჩვენებ სწორ პასუხებს.	ვიდეო მეთოდი დემონსტრირება და ილუსტრაცია	წყვილებში	სლაიდები, პროექტორი, კომპიუტერი, ცხრილი (დანართი 7), ფერადი ქაღალდი, ობიექტების ჩამონათვალი (დანართი 8)	65თ
6	იპოვეთ კოორდინატები რუკაზე – ვაჩვენებ სლაიდს – საქართველოს რუკას, სადაც მონიშნულია რამდენიმე რეგიონი. მოსწავლეებმა უნდა შეუსაბამონ, ჩამონათვალიდან მონიშნულ ადგილებს, ამ რეგიონის რომელიმე ქალაქი ან რეგიონული ცენტრი, მიუწერონ შესაბამის გრაფებში ამ ქალაქების კოორდინატები; აღწერონ მათი ურთიერთმდებარეობა პორიზონტის მხარეების გამოყენებით (დროის ეკონომიის მიზნით, შესაძლებელია რეგიონები დაინანილონ წყვილებში).	ვიდეომეთოდი დემონსტრირება და ილუსტრაცია	წყვილებში	სლაიდები, პროექტორი, კომპიუტერი, ცხრილი ქალაქების ჩამონათვალით (დანართი 9)	105თ
7	დავუბრუნდეთ ნინოს განძს – ვაჩვენებ სლაიდს და ვთხოვ ბავშვებს, იმსჯელონ განძის პოვნის უფრო მარტივ გზაზე, ჩამოაყალიბონ, როგორ შეეძლო ბაბუას უფრო მარტივად აეხსნა განძის ადგილსამყოფელი.	ვიდეომეთოდი დემონსტრირება და ილუსტრაცია	მთელ კლასთან	სლაიდები, კომპიუტერი, პროექტორი, პლაკატი – ეზოს მოდელი (დანართი 3)	55თ
8	შეფასება/თვითშეფასება – დაურთებ მოსწავლეებს შეფასების/თვითშეფასების ფორმებს და ვთხოვ, შეავსონ ფურცლები.		ინდივიდუალური	შეფასების ფურცლები (დანართი 2)	35თ
9	საშინაო დავალების მიცემა – დაურთებ მოსწავლეებს სამეფო სასახლის გეგმას (ნახაზს) და ტექსტს, სადაც განმარტებულია ოთახების მდებარეობა, მათ უნდა გამოეცნონ ეს ოთახები და სიმბოლოურად ჩახატონ შიგნით საგნები (მაგ.: ნიგნები, ტელევიზორი, მაგიდა და ა.შ.), დავალე-ბას ვაჩვენებ სლაიდებზეც.	ვიდეომეთოდი, დემონსტრირება და ილუსტრაცია	ინდივიდუალური	სლაიდები, კომპიუტერი, პროექტორი, ტექსტი და სასახლის გეგმა (დანართი 10)	25თ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები: მოსწავლეებს შეეძლებათ სივრცეში ორიენტირება, შეძლებენ საკოორდინატო ბაღზე ობიექტის კოორდინატების პოვნას და მოცემული კოორდინატით ობიექტის მითითებას.

სამაგიდე თამაშების მრავალფეროვანი კატეგორიები I-VI კლასებისათვის

წესებიანი, სამაგიდე თამაშების მრავალი ახალი გამოცდა: შეუქმნეს ბავშვის პოზიტიური განწყობა სწავლისას, ხელი შეუწყო მოსწავლეების სოციალური და საზოგადოებრივი უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაში ჩართულ მოსწავლეს უწევთ: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დაგეგმვა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანამშრომლობა, წარმოდგენა/ვარაუდობა, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკული გადმოტანა, განხილვა/შეფასება. თამაშები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამოყვანილი კომპეტენციების შესაბამისად არის შექმნილი.



- რომელი საათია - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- ჩრდილები - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მოსატყუარი სხოვლების ანგარიში - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- სხვადასხვა სიტყვების - 8 ლარი** (ჯგუფური თამაში);
- შეგრძნობები - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მხიარული სინარქცია - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- მხიარული წილადები - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- დავეხმაროთ რისხვებს - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში);
- გავხსნათ მთელი სტუმრები - 23 ლარი** (ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
- ფარული მოხიარვა - 8 ლარი** (თამაშობენ იდენტიფიკაციის და წყვილებში).

ნაფიცი და მომონი ანგარიშები

სარია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „პითაგორის საათის“ საცემო ფიციის გათვალისწინებით.



სარის ფასი - 32.40 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და საგარეო მომზადება.



სარის ფასი 17.70 ლ

მოკლევითი საბავშვო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასახვევი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიცვანთ სპეციალურ აპლიკაციის, რომელიც განთავსებულია გამოცემის მფლობელის ოფიციალურ ვებგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიქმნა ჩაბარების როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.




თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ



12 ლარი

თამაშ ვასაქი კომპიუტერული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა საატესტატო გამოცდისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია



ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე



ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე




10 ლარი

თამაშ გერმანულენოვანი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)




4 ლარი

თამაშ ვასაქი ქართული აგროგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი) ეროვნული გამოცდებისთვის ლ. ბურღილაძე, ნ. სინარქცია, ქ. ბაღვაში, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია საატესტატო გამოცდისთვის ნ. ანგვალი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

განახლებული გამოცემა



ნიგონი I V-XVIII საუკუნეების მხარე
ნიგონი II XIX საუკუნის მხარე
ნიგონი III XX საუკუნის მხარე

თითო ტომის ფასი - 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირისხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22 შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით: 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >